ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 12 ივნისი, 2020 №127 (8391) ფასი: 60 თეთრი

## ბოდბისხევში ნაპოვნი ახალშობილის საქმე გახსნილია



გვ.5

დედამ აღიარა, რომ იმშობიარა და ბავშვი ბენზინგასამართ სადგურთან დატოვა

# „სააკაშვილი საქართველოს პრემიერობისთვის ემზადება“



გვ.3 ვახტანგ ძაბირაძე: „მთელი წელია, ხელისუფლება ებრძვის ამერიკის კონგრესს, მის წარმომადგენლებს და იწყება ფორიაქი“

## „ივანიშვილი ამერიკის კრიტიკას თუ არ გაითვალისწინებს, ანგარიშებს დაუყადალებენ“

სოსო ცინცაძე: ივანიშვილის გაუჭრელი კარტი ოპოზიციის დაქსაქსულობა და სისუსტეა

პოლიტიკიდან წასვლა იმიტომ უჭირთ, რომ დიდი ფული იშოვება... იქნება შურისძიება და ანგარიშსწორება



გვ.2

## „არჩევნები სამართლიანად თუ ჩატარდება, ამერიკას ივანიშვილის ჯინი არ სჭირს“

თორნიკე შარაშენიძე: „ბახტაძე გახდეს „ოცნების“ ნომერ პირველი, სიმართლე გითხრათ, ძალიან არალოგიკურად მეჩვენება“



გვ.3

გვ.4



## ამირან სალუქვაძე: „პარტიები უნდა გადახალისდნენ“

თუ თავს პროდასავლურ პარტიად მიიჩნევ, პრორუსულ პარტიას პარლამენტში ანუ ხელისუფლებაში მოსვლაში არ უნდა დაეხმარო



გვ.2

## კელი დეგნანი: „საქართველოს სიტუაციას კონგრესშიც აკვირდებიან“

## ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი საქართველოს ხელისუფლების გასამართლებას მოითხოვს




გვ.4

ISSN 1987-9385

**2** კახა კალაძე: „სააკაშვილს უფლება არ აქვს, ჩაერიოს საქართველოს პოლიტიკურ საქმიანობაში“

**5** გიორგი რურუა კვლავ პატიმრობაში რჩება

**5** ერეკლე თედლიაშვილის დედა: „ჯერ ჩემი შვილი იყოს ცოცხალი, დანარჩენს დეტალებში გავარკვევ!“

**6** პომპეო: „რუსეთის აგრესიას ბოლო უნდა მოეღოს!“

# სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი ამერიკის კრიტიკას თუ არ გაითვალისწინებს, ანგარიშებს დაუყადაღებენ“

## ივანიშვილის გაუქრელი კარტი ოპოზიციის დაქსაქსულობა და სისუსტეა

იაგო ნაცვლიშვილი

**ამერიკელმა 13-მა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც პუტინთან კავშირში მყოფ ოლიგარქებზეა საუბარი. მათ შორის მოხსენიებულია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილიც და საუბარია სანქციებზეც. კონგრესმენები ამ გადაწყვეტილების მიღებას ურჩევენ სახელმწიფო დეპარტამენტს.**





**რომელ სუვერენულ ქვეყანაში შეიძლება გვყავდეს პარლამენტის წევრი, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის?! ასეთი რამე არსად ხდება**

ამერიკის გზავნილებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** საუბრობს:

***– 13 ამერიკელი კონგრესმენი პირდაპირ მიუთითებს ანგარიშში, რომ ბიძინა ივანიშვილი პუტინის მოკავშირეა და ქვეყნის დეგრადაციას ეწევა. ეს უკვე არა „ოცნების“, არამედ კონკრეტულად ივანიშვილის გაფრთხილებაა, რომ ხელი არ წაუცდეს?***

– ბიძინა ივანიშვილი და „ოცნება“ დღეს გაიგივებულია. ივანიშვილი დღეს არის ხელისუფლება და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ამერიკული მენტალობა. მართალია, რუზველტი ოთხჯერ იყო არჩეული პრეზიდენტად, მაგრამ მაგათი ბუნება ჯორჯ ვაშინგტონიდან მოყოლებული ასეთია, რომ ეს არის ორი ვადა. ასე იყო შევარდნაძის დროსაც, ასე იყო მიშას დროს და ეს მოთხოვნა აქვთ ახლაც. ჩემი აზრით, ამერიკაში გადაწყვიტეს, რომ მორჩა, საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ორი ვადა იყო და საკმარისია, მით უმეტეს, ივანიშვილის ფაქტორის გამო. ამერიკელებისთვის ყველაზე მიუღებელი კორუფციაა. ამერიკელები ამბობენ, რომ პოლიტიკოსზე, ისევე, როგორც ქრისტეზე, არ შეიძლება, ეჭვიც კი მიიტანო, რომ ის კორუფციას ხელს აფარებს. უკრაინაში რომ იყო შემთხვევა, როდესაც პროკურორი მოახსნევინეს, ცნობილი იყო, რომ ის ჩაფლული იყო კორუფციაში. საქართველოშიც ასეა, მაგრამ საქართველოში რბილად მიდის ეს სიტუაცია. ამერიკელებმა ისევე, როგორც არ მისცეს არჩევნების გაყალბების უფლება, ახლაც „ოცნებასაც“ არ მისცემენ გაყალბების უფლებას.

***– ეს არის ამ ანგარიშის მთავარი გზავნილი, რომ ხელი არ წაუცდეთ გაყალბებისკენ?***

– კი, რა თქმა უნდა. სად გინახავთ თქვენ, რომ ელჩი ხვდებოდეს გენერალურ პროკურორს.

***– ამ ორ ფაქტს შორის კავშირი დაინახეთ?***

– რასაკვირველია. ქალბატონმა ელჩმა უთხრა შოთაძეს, ივანიშვილი ივანიშვილია, მაგრამ შენ გენერალური პროკურორი ხარ და ვერც „ოცნებას“ ამოეფარები და ვერც ვერავისო. ცესკოს თავმჯდომარეს ხომ არ შეხვდა? იმიტომ, რომ იცის, რასაც ეტყვიან, იმას აკეთებს. ამერიკელებს ეჭვი აქვთ, რომ „ოცნება“ ყველა საშუალებით შეეცდება არჩევნების მოგებას.

***– საინტერესო პასაჟი იყო პუტინთან მოკავშირეობის კონტექსტი. არჩევნებში პუტინის ჩარევის ეჭვი ხომ არ გაუჩნდათ მათ?***

– ამის წინ იყო პენტაგონის ყოფილი მმართველის ინტერვიუ, სადაც ნახსენები იყო ანაკლია. მას ვერ გაუძლო საქართველომ და რუსეთის ინტერესები დააკმაყოფილა. ჩვენ იმის ნახევარიც კი არ ვიცით, რაც ამერიკელებმა იციან. ამერიკას ჩვენს რეგიონში კი არა, მოსკოვშიც კი არ აქვს იმხელა საელჩო, რამხელაც საქართველოშია.

***– რატომ?***

– მე თქვენ გეკითხებით, რატომ? ორი იმხელა მიწის ქვეშ არის კიდევ. დასკვნები თავად გააკეთეთ, გამოცდილი ჟურნალისტი ხართ. ამერიკელები აგროვებენ ინფორმაციას და მათ ზუსტად იციან ყველაფერი. შემდეგ ეს ინფორმაცია მიდის სახელმწიფო დეპარტამენტში. არავინ იფიქროს, რომ ტრამპს ამისთვის არ სცალია და რომ ის ფიქრობს რუსეთთან ურთიერთობებზე, კორონავირუსსა და საპრეზიდენტო არჩევნებზე. არა, ასე არ არის. ამერიკა სულ სხვა მასალით არის ნაშენი. ჩვენი დილეტანტი ხელისუფლება, შესაძლოა, 15-ჯერ იყოს ჩასული იქ, მაგრამ ცათამბჯენები ნახოს და ძვირფასი მანქანები, ან მილიარდერებს შეხვდა, მაგრამ ქვეყნის ანატომია როგორია, ეს არ იციან. ამერიკა ამ კრიზისსაც გადაიტანს.

***– როცა ხელისუფლება ლობისტებს ეძახის ამერიკელ კონგრესმენებს, მათი ეს განცხადება როგორ უნდა გავიგოთ?***

– მათი განცხადებებია, ვიცით, თქვენთან არის დარღვევაო. ეს ჯერ, უბრალოდ, რჩევებია, როგორც უფროსი პარტნიორი უმცროს პარტნიორს ურჩევს რაღაცებს. მაგრამ, თუ გახსოვთ, ბუშმა პირდაპირ მოსწერა შევარდნაძეს, ხანდაზმულები უნდა წავიდეთ და ახალგაზრდები უნდა მოვიდნენო. ასევე არ მოერიდნენ მიშას, მიუხედავად იმისა, რომ მაგათი ფავორიტი იყო. გადამწყვეტ მომენტებშიც ხისტადაც მოქმედებენ.

***– დავუშვათ მოსწერეს ბიძინას, მაგრამ მან არ გაითვალისწინა, არ უნდა ამერიკა და ადგას რუსეთის გზას. ამით რა შეიცვლება?***

– ის შეიცვლება, რომ ბიძინას ექნება ძალიან სერიოზული პრობლემები.

***– ანგარიშებს დაუყადაღებენ?***

– არ არის გამორიცხული, ათასი ბერკეტები აქვთ. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ბიძინა საქმეს აქამდე არ მიიყვანს. ბიძინა სულელი კაცი არ არის. სულელი კაცი რუსეთში მილიარდებს ვერ იშოვიდა. რუსეთში მაშინ ფულის შოვნა ადვილი იყო, მაგრამ რთული იყო ცოცხლად გადარჩენა. მან ფულიც იშოვა და ცოცხალიც გადარჩა, ესე იგი ხელწამოსაკრავი პიროვნება არ არის. ივანიშვილის გაუქრელი კარტი ოპოზიციის დაქსაქსულობა და სისუსტეა.

***– ოპოზიცია თამაშობს ერთიანობას, მაგრამ რაღაც მომენტებში თავი იჩინა დაპირისპირებამ. ხომ არ გამოჩნდა, რომ თუ ხელისუფლებაში მოვლენ, დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდება?***

– ფესვები უფრო ღრმად აქვს გადგმული. ამერიკაში სამოქალაქო ომი როდის იყო და ამის სინდრომიც არის. დღეს რაც ხდება ამერიკაში ფერადკანიანებთან მიმართებით, ეს არის სამოქალაქო ომის სინდრომი. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ ამ დაქსაქსულობიდან. ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა გამთლიანება. ეს მთლად კარგ მაგალითად ვერ გამოდგება, მაგრამ ჰიტლერს ყველაზე დიდ მიღწევად, იცით, რას უთვლიდნენ? იმას, რომ ერი გაამთლიანა. მან ეს მოახერხა 4 წელიწადში, ჩვენ კი 400 წელიწადში ვერ შევძელით.

***– თუმცა სხვადასხვა ვითარებაზეა საუბარი – დიქტატურასა და დემოკრატიაზე...***

– ჩვენთან იდეაფიქსად არის ქცეული ხელისუფლების შენარჩუნება და ყველაფერი მიღებულია. რომელ სუვერენულ ქვეყანაში შეიძლება გვყავდეს პარლამენტის წევრი, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის?! ასეთი რამე არსად ხდება.

***– მაშინ კანონი უნდა შევცვალოთ ამ მიმართულებით.***

– ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი. ეს კომუნისტებიდან მოდის. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაუძლეს ზეწოლას, როცა ენის ცოდნის კვოტა შემოიღეს. ენა საყოფაცხოვრებო დონეზე მაინც უნდა სცოდნოდა რიგით მოქალაქესაც კი. ჩვენ კი კანონმდებლები გვყავს, რომლებმაც ენა არ იციან და 20 წელია, პარლამენტში გვისხედან, იმიტომ რომ ყველა ხელისუფლებისთვის ეს არის ოქროს ხმები, რადგან ყულაბაში გარანტირებული აქვთ ხმების გარკვეული რაოდენობა. ეს ყველაფერი იციან ამერიკელებმა. ჯერჯერობით ეს არის გაფრთხილებები, მაგრამ, ჩვენ რასაც ვიგებთ, ეს მხოლოდ აისბერგის ზემო ნაწილია.

***– ანუ უფრო მეტია იმაზე, რასაც ვიგებთ? ანუ ხელისუფლებასთან კიდევ უფრო მეტის შესახებ საუბრობენ?***

– რასაკვირველია. აბა, რა გგონიათ, კალაძე რომ ამბობდა, დახურულია თემა, მოლაპარაკება დასრულდაო და ერთი კვირის შემდეგ რომ გაფორმდა ხელშეკრულება, ეს როგორ? ამ პატარა ქალმა, კელი დეგნანმა, ლოგიკურად დააჯერა ესენი, ცუდ ბიჭებად ნუ გამოხვალთ, კარგ ბიჭებად გამოდითო?! – არა, რაღაცებით დაემუქრა, რაც ჩვენ არ ვიცით და, ალბათ, ვერასდროს გავიგებთ.

***– ოპოზიციაში რა მთავარ პრობლემას ხედავთ?***

– ერთობა. იმიტომ, რომ „ოცნებიდან“ გაქცეულმა დეპუტატებმა, რომლებიც ინტელექტუალური პოტენციალით ნებისმიერ პარტიას დაამშვენებენ, ცალკე პარტია შექმნეს. იქ არის ათასი ჯგუფი და დაქსაქსულობა.

***– საერთო ენა რატომ ვერ გამონახეს, ამბიციების გამო?***

– ძნელია. საერთოდ, 3 კატეგორიის ადამიანებს უჭირთ პროფესიის შეცვლა. ეს არის სპორტსმენი, მსახიობი და პოლიტიკოსი. ნუ დამასახელებინებთ გვარებს, რომლებიც 30 წელია, პოლიტიკაში არიან და 2-კაციანი პარტიები აქვთ, თვითონ კი თავმჯდომარეები არიან.

***– ისიც ვიცით, როგორ იცვლიან ხოლმე შეხედულებებს, მემარჯვენე მემარცხენე ხდება და პირიქით.***

– ამიტომ ეს არის, ესენი რომ წავიდნენ, ჩვენი დრო აღარ არისო, ეს არ ხდება. ჩვენი უბედურება ისიც არის, რომ დღეს პოლიტიკაში ყოფნა კეთილდღეობაა. ბევრისათვის პოლიტიკიდან წასვლა შიმშილია.

***– ფული იშოვება პოლიტიკაში?***

– ფული – არა, დიდი ფული. რეიგანის დროს სახელმწიფო მდივანი იყო შულცი. სანამ ის დაიკავებდა ამ თანამდებობას, იყო მსოფლიოში უდიდესი სამშენებლო კომპანიის პრეზიდენტი და წლიური ხელფასი მილიონზე მეტი დოლარი ჰქონდა, მაგრამ მოვიდა თანამდებობაზე, სადაც მისი ხელფასი 60.000 დოლარი იყო წელიწადში. მილიონი გაცვალა 60.000 დოლარზე, ანუ მისთვის ფული არაფერს ნიშნავდა და მოვიდა იმიტომ, რომ ეს საქმე აინტერესებდა.

ჩვენთან სანამ ეს ტენდერები არ გაუქმდება ან რამე რეფორმა არ ჩატარდება, რთული ვითარება იქნება ამ მხრივ. თან ხდება ცინიზმით. ვიღაც ბიზნესმენს 3 დღის წინ შეჰქონდა „ოცნების“ ფონდში შემოწირულობა და 3 დღეში ტენდერს იგებს. არც კი მალავენ. ასეთი ვითარება იყო 60-იან წლებში – გამდიდრდა ერთი ნაწილი და გაღატაკდა დანარჩენი ყველა. ასეა ჩვენთანაც. აქ უკვე თერაპიით ვეღარ ეშველება, ქირურგიის ჩარევაა საჭირო.

***– თუ „ოცნებამ“ არჩევნები წააგო, დაიშლება ეს პარტია?***

– ვერ წააგებს არჩევნებს, იმიტომ, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაა. რაღაცნაირად მაინც შეინარჩუნებს ძალაუფლებას ან გარანტიებს მოითხოვს. ინგლისში არჩევნებს რომ წააგებდნენ, მერე ილიადას თარგმნიდნენ. ჩვენთან ვინ არის ისეთი, 2 წიგნი რომ მაინც ჰქონდეს წაკითხული, ვინ არის ასეთი პარლამენტში?! პოლიტიკა, თანამდებობა პირდაპირ მიბმულია კეთილდღეობასთან. არავინ დაიჯეროს, რომ არ იქნება შურისძიება.

***– ანუ ოპოზიცია მაინც იძიებს შურს?***

– ოპოზიცია თუ არა, ბევრია შურისმაძიებელი. შეიძლება, ეს არ იყოს პოლიტიკოსი, მაგრამ იყოს რიგითი გაბოროტებული, მშიერი ადამიანი.

***– ანგარიშსწორებაზე მიანიშნებთ?***

– რასაკვირველია. იქნება ის, რაც ხდება ამერიკაში, იმიტომ, რომ ზომიერების გრძნობა დაკარგეს და მილიონებზეა ლაპარაკი, ვიღაცას მილიონებს პატიებენ ბიუჯეტიდან. ეს ყველაფერი კარგად იცის „ოცნებამ“. კი, ინტელექტით თავი დიდად არ უსკდება, მაგრამ თვითგადარჩენის ინსტინქტი ძალიან ძლიერია. ახალგაზრდა კაცია კობახიძე და, არჩევნები რომ წააგოს, მითხარით, რა მომავალი აქვს?

***– როგორც ამბობენ კარგი კონსტიტუციონალისტია.***

– სად ნახე მაგის კონსტიტუციონალისტობა, ახლა რომ დაწერა, მაგ კონსტიტუციაში? მაგრამ მისი პიროვნული ფაქტორებიდან გამომდინარე საუბრობენ.

***– ლექციებს წაიკითხავს.***

– ლექციების კითხვით არავინ გამდიდრებულა და არ აწყობს მაგას ლექციების კითხვა.

***– საერთაშორისო ინსტიტუტში შეიძლება დაიწყოს მუშაობა.***

– არა, არც იქ არავინ მიიღებს, მისი პიროვნებიდან გამომდინარე.

ანუ იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ბევრი ფუნქციონერის მომავალი დევს სასწორზე, განა პოლიტიკური მომავალი, არამედ – მატერიალური და ეკონომიკური. შვილებსა და შვილიშვილებს ვეღარ გაგზავნიან სასწავლებლად. ეს მათთვის ტრაგედიაა.

***– ანუ, აქედან გამომდინარე, დიდ ბრძოლას პროგნოზირებთ?***

– დიახ. რაც უფრო მეტი აქვს დასაკარგი მმართველ კლასს, მით უფრო არაცივილიზებული მეთოდებით ცდილობს ხელისუფლებაში დარჩენას. ეს უკვე კლასიკაა.

# კელი დეგნანი: „საქართველოს სიტუაციას კონგრესშიც აკვირდებიან“

საქართველოში ამერიკის ელჩი კელი დეგნანი ამერიკელი კონგრესმენების მწვავე ანგარიშს ეხმაურება. მისი თქმით, განცხადებას არ იცნობს, რადგან დღის განმავლობაში გორში შეხვედრებზე იმყოფება, თუმცა, მისივე შეფასებით, კონგრესში საქართველოში მიმდინარე პროცესებს აკვირდებიან.

– ეს განცხადება მე ჯერ არ მინახავს. მთელი დღეა, გორში ვიმყოფები, თუმცა ეს განცხადებავე ცხადყოფს, რომ საქართველოს სიტუაციას კონგრესშიც აკვირდებიან და ის ისევ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია. ჩვენ წლების განმავლობაში საკმაოდ დიდი ინვესტიციები გავწიეთ, – განაცხადა ელჩმა.

13 გავლენიანი რესპუბლიკელი კონგრესმენი პირდაპირ ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი პუტინის მოკავშირეა და საქართველოს დესტაბილიზაციაშია ჩართული.

დოკუმენტში, რომელიც გამოქვეყნდა, საუბარია, რომ კონგრესმა უნდა შეადგინოს იმ ოლიგარქებისა და მათთან დაკავშირებული ადამიანების სია, რომლებიც რუსულ აგრესიას აფინანსებენ.

# კახა კალაძე: „სააკაშვილს უფლება არ აქვს, ჩაერიოს საქართველოს პოლიტიკურ საქმიანობაში“

– უცხო ქვეყნის მოქალაქეს არანაირი უფლება არ აქვს, ჩაერიოს სხვა ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში და ამას, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან რეაგირება მოჰყვება, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მიხეილ სააკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განაცხადა.

კალაძის თქმით, ეს არ ჯდება არც ერთ დიპლომატიურ ურთიერთობაში.

– უკრაინა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და ამაზე ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ. ქვეყანაში იქნება მშვიდობა, რაც არ უნდა შეეცადონ ოპოზიციური პარტიები, არავის მიეცემა უფლება და შესაძლებლობა, ქვეყანაში შემოიტანონ დესტაბილიზაცია. ქვეყანა განვითარდება, წინ წავა და მხოლოდ და მხოლოდ აღმშენებლობა ელოდება ჩვენს ქვეყანას. ზოგადად ცუდია ქვეყნებს შორის ურთიერთობაში, როდესაც შენი ქვეყნის მოქალაქე, თანამდებობის პირი აკეთებს განცხადებებს და ერევა სხვა ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. ეს არ ჯდება არც ერთ დიპლომატიურ ურთიერთობაში, – აღნიშნა კახი კალაძემ.

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საინფორმაციო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დიზაინერი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავა

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „არჩევნები სამართლიანად თუ ჩატარდება, ამერიკას ივანიშვილის ჯინი არ სჭირს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ბახტაძე გახდეს „ოცნების“ ნომერ პირველი, სიმართლე გითხრათ, ძალიან არალოგიკურად მეჩვენება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, ამერიკელი კონგრესმენები საქართველოში მიმდინარე პროცესებს ეხმიანებიან და აცხადებენ, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომელიც პუტინის ახლო მოკავშირეა, რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს დესტაბილიზაციაშია ჩართული. რას ნიშნავს ეს განცხადებები? ეს უკვე განაჩენია ივანიშვილისთვის?***

– განაჩენი რომ ასე მალე დადგეს, არა მგონია. ამერიკაში დამკვიდრდა აზრი, რომ ივანიშვილი პუტინთანაა შეკრული და ამ კონგრესმენებსაც, როგორც ჩანს, ეს აზრი აქვთ, ან ეს აზრი ვილაცამ მიაწოდა და ჩაწერეს ასე. ვნახოთ, ამას რა მოჰყვება.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოდან მიწოდებული ინფორმაციებია?***

– აქედან, არა მგონია, ოპოზიციის მიწოდებული იყოს. შესაძლოა, ამერიკაში ეს აზრი ბევრს დაებადა. ამერიკაში ბევრგან ტრიალებს ის. კონგრესმენებსაც, შესაძლოა, ვინმემ მიაწოდა ან თავადაც ამ აზრზე არიან.

***– ასეთ შეფასებებსაც ვისმენთ, რომ „ოცნებას“ ეს არ აშინებს, რადგან, იმდენად მწვავე ვითარებაა დღეს ამერიკაში, რომ ნაკლებად სცხელათ საქართველოსთვის.***

– ასე მარტივადაც არ არის, რაღაც დონეზე აუცილებლად მოიცლიან. ხომ ვხედავთ, უკვე ბევრს ლაპარაკობენ სანქციების გამწვავებაზე, ახალი სანქციები დაწესდა რუსეთზე. ასე რომ, არა მგონია, მთლად ასე ვერ მოიცალონ საქართველოსთვის.

***– ივანიშვილის მიმართ მიიღებენ სანქციებს?***

– ასე უცებ, შესაძლოა, არ მიიღონ. დაველოდოთ. ივანიშვილი თუ ჩაატარებს არჩევნებს სამართლიანად, რომც მოიგოს, არანაირ სანქციებს არ დაადებენ, დარწმუნებული ვარ.

***– საქმე ის არის, რამდენად სამართლიანად ჩაატარებს?***

– ბუნებრივია, საქმე ისაა, რამდენად სამართლიანად ჩაატარებს არჩევნებს. დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია. თუ ჩაატარებს არჩევნებს ნორმალურად, რას ერჩიან? ივანიშვილის ჯინი კი არავის სჭირს.

***– არჩევნების გზით უნდა გაუშვან ივანიშვილიო. რამდენად მოხერხდება ამჟამად ხელისუფლების ცვლილება? არის პოლიტიკურად ეს სიტუაცია?***

– არა მგონია, ამერიკის თვითმიზანი გაშვება იყოს. მათი თვითმიზანი არის საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება. თუ დემოკრატიულ არჩევნებში მოიგებს, რა უნდა უთხრა?!

***– როგორი პირი უჩანს, აქვს „ოცნებას“ იმის შანსი, რომ მოიგოს არჩევნები?***

– ისევ და ისევ იმის ფონზე, რომ მთავრობა ნორმალურად გაუმკლავდა კორონავირუსს, აქვს შანსი, რა თქმა უნდა. მით უმეტეს, ჯერჯერობით ოპოზიცია საკმაოდ დაქსაქსულია.

***– ვიდრე ოპოზიციის დაპირისპირებაზე ვისაუბრებდით, ხელისუფლების შიგნითაც სერიოზულ დაპირისპირებაზე საუბრობენ, იმავე გახარია-კალაძეს შორის. როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმატებით გაართმევენ თავს ამ პროცესს, დარჩებიან ერთად არჩევნებამდე?***

– გინდ კალაძე-გახარია და ვისი დაპირისპირებაც არ უნდა იყოს შიგნით, საბოლოო ჯამში, ყველაფერს წყვეტს ბიძინა. კალაძე ამ მომენტში რომ გადახტეს, სადმე ცალკე გავიდეს არჩევნებამდე, ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. კალაძეს, ცალკე აღებულს, ხმას ვინ მისცემს, რას წარმოადგენს?!

***– ანუ ყველა მაინც ბიძინა ივანიშვილის ქოლგის ქვეშ უნდა შეიკრიბოს?***

– რა თქმა უნდა. კალაძე ძალიან კარგად ხვდება, რომ მარტო ვერაფერს მიაღწევს. ამაში დარწმუნებული ვარ. ვისი ხმები უნდა წაიღოს კალაძემ?!

***– ბოლო დღეებში ამბობდნენ, გახარია იქნება სიის პირველი ნომერიო. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბახტაძე ბრუნდება „ოცნებაში“ და სიის პირველი ნომერიც ის იქნება. ამაზე რას იტყვით?***

– ნამდვილად არა მგონია, რომ ბახტაძე გახდეს ნომერ პირველი. სიმართლე გითხრათ, მე ძალიან არალოგიკურად მეჩვენება ეს ინფორმაცია. რას წარმოადგენს ბახტაძე, რა რეპუტაცია აქვს მას?! რა უნდა შესძინოს „ოცნების“ სიას, ნომერ პირველი რომ ჩაჯდეს, მე მართლა არ მესმის. ამიტომ ეს გუშინდელი ამბავი, უბრალოდ, ჭორი მგონია.

***– შემოგდებული „ფეიკნიუსია“?***

– ნამდვილად ასეა. ხანდახან ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცები ოპოზიციას უგდებენ ტყუილებს და ისინიც გახარებულები და აჟიტირებულები ამ ტყუილებს იმეორებენ.

***– ანკესზე წამოეგებიან ხოლმე?***

– ასეა. იგივე იყო გახარიას თემაზეც. ატეხეს ერთი ამბავი, არიქა, გახარიას გაუშვებენო.

***– მიზანმიმართულად ავრცელებენ ამ ინფორმაციებს? ეს რა სტრატეგიაა?***

– არ ვიცი. ეტყობა, ტესტავენ საზოგადოებასაც და ოპოზიციასაც. ძალიან ალოგიკურია ასეთი ნიუსი და, როცა მერე ამ ნიუსს იჯერებ, ყველაზე მეტად ეს მიკვირს.

***– გახარიას პირველნომრობა რამდენად ლოგიკურია?***

– ეს კიდევ ლოგიკურია, ბახტაძესთან შედარებით.

***– ოპოზიციის გეგმებზე რას იტყვით? 20 ივნისის აქციისთვის ემზადებიან, აგორდება თავიდან საპროტესტო ტალღა?***

– არ არის მარტივი ასაგორებელი ახალი ტალღა. ზაფხული მოდის, თანაც პანდემიის ფონზე. დიდი იმედი მაქვს, ხალხი არ გამოვარდება და არ დალეწავს ვიტრინებს, როგორც ეს, სამწუხაროდ, ბევრგან ხდება. ამის იმედი ნამდვილად მაქვს. ასე რომ, არა მგონია, ახალი ტალღა აგორდეს. შარშან რაც იყო ახალი ტალღა, ჩაცხრა. ეს ტალღა გამოიწვია გავრილოვმა.

***– ოპოზიციის შიგნითაც არ არის სტაბილური სიტუაცია. ყველა ხედავს დაპირისპირებას ლიდერებს შორის. ითქვა ისიც, რომ ამჟამად ნაციონალებში ვანო მერაბიშვილი ალაგებს სიტუაციას. თქვენ რას იტყვით?***

– მიჭირს თქმა. არა მგონია, მერაბიშვილი ასე მარტივად ალაგებდეს სიტუაციას. გაზვიადებული მგონია ეს ამბავი. ჯერ ახლა გამოვიდა ეს კაცი ციხიდან და ასე უცებ, არა მგონია, ასე მარტივად დაალაგოს სიტუაცია. ალბათ, ესეც ჭორია. თუმცა ამ ჭორს არ მიუღია ისეთი გავრცელება, როგორიც – ბახტაძის პირველნომრობას. რის ხარჯზე უნდა გამხდარიყო მერაბიშვილი ნაცმოძრაობის ლიდერი? ეს რთული სათქმელია ჩემთვის.



**ზოგადად, გაერთიანება მოსაწონია, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ სიტუაციაში, შესაძლოა, ჯობდეს, პარტიები გავიდნენ ცალ-ცალკე. ყველა რომ გაერთიანდეს ნაცმოძრაობასთან, ნაცმოძრაობის ჯიბრზე არ მისცემენ მათ ხმას**

***– როგორ ფიქრობთ, საერთოდ რამეზე თუ შეთანხმდებიან?***

– ერთი მხრივ, ფსიქოლოგიურად გაერთიანება კარგად ჟღერს, ზოგადად, გაერთიანება მოსაწონია, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ სიტუაციაში, შესაძლოა, ჯობდეს, რომ პარტიები გავიდნენ ცალ-ცალკე. ყველა რომ გაერთიანდეს ნაცმოძრაობასთან, ნაცმოძრაობის ჯიბრზე არ მისცემენ მათ ხმას. ამიტომ სულაც არ იქნება ცუდი, ყველა ცალ-ცალკე გავიდეს და ყველამ თავისი ამომრჩეველი მოკრიბოს. შევიდნენ პარლამენტში და მერე გაერთიანდნენ, ასე დაამარცხონ „ქართული ოცნება“. მე ეს უფრო რეალურად მიმაჩნია.

***– აქტიურდებიან ახალი პარტიებიც – ხაზარაძე, გამოჩნდა კვირიკაშვილიც, თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ ისინი „ოცნების“ თამაშს ითამაშებენ. ასე იქნება?***

– რა თქმა უნდა. აბა, მე ვერასდროს წარმოვიდგენ, რომ მათ ნაცმოძრაობის თამაში ითამაშონ. ჯერჯერობით „ოცნების“ სერიოზული ალტერნატივა მაინც ნაცმოძრაობაა. ეს ფაქტია და ამას ყველა ვხედავთ.

***– საერთოდ ჩატარდება არჩევნები?***

– მე მგონი, ჩატარდება. ჩაშლა არავის აწყობს. იმედია, ვირუსთან დაკავშირებული პრობლემა არ იქნება. გადადება კი არავის ინტერესში არ შედის. „ოცნებას“ მიაჩნია, რომ არჩევნების მოგების კარგი შანსი აქვს და რატომ უნდა ჩაშალოს?! ესენი თუ არ ჩაშლიან, გამოდის, რომ სხვა ვერავინ ჩაშლის. წესით, ახალი კანონმდებლობის მიღებაც მოესწრება. იმედს ვიტოვებ, გამარჯვებულ პარტიას ეყოფა გონიერება, კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბოს. ეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ძალიან კარგი იქნება.

# „სააკაშვილი საქართველოს პრემიერობისთვის ემზადება“

## ვახტანგ ძაბირაძე: „მთელი წელია, ხელისუფლება ებრძვის ამერიკის კონგრესს, მის წარმომადგენლებს და იწყება ფორიაქი“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, რას იტყვით ამერიკელი კონგრესმენების მიერ მომზადებულ დოკუმენტზე, სადაც ღიად არის საუბარი სანქციებზე და ივანიშვილი პუტინის პარტნიორად არის მოხსენიებული?***

– საქართველოში ყველა მთავრობის უმრავლესობა, უკეთეს შემთხვევაში, რაც კი მახსოვს, საკუთარი ინტერესებისთვის იბრძოდა და არა ქვეყნისთვის, მაგრამ ვთქვა, რომ ივანიშვილი პუტინის მოკავშირეა და მის ინტერესებს ახორციელებს საქართველოშიო, ჯერ ამის ხელშესახები არგუმენტი არ მაქვს, თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის.

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ, მთელი წელია, რაც ხელისუფლება ებრძვის რატომღაც ამერიკის კონგრესს, მის წარმომადგენლებს და იწყება ფორიაქი.



***– ამ დოკუმენტს კობახიძე და ვოლსკი ნაციონალური მოძრაობის ლობისტების ნამუშევარს უწოდებენ და დაბალი რანგის დოკუმენტად აფასებენ.***

– არიან ლობისტები თუ არა, ამას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს. ისინი ამერიკის კონგრესს წარმოადგენენ. მათ აზრს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც უსმენენ და ითვალისწინებენ. მათი პოზიცია ლობისტური იქნება თუ არალობისტური, ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკა-საქართველოს ურთიერთობისთვის. იმის ნაცვლად, რომ ამ ურთიერთობაზე გამახვილდეს ყურადღება, მუდმივი შეტევა მოჰყვება ხოლმე ასეთ განცხადებებს კონგრესსა და კონგრესმენებზე. ამ შეტევას კონგრესი აღიქვამს, როგორც პუტინთან პარტნიორობას. ხვდებიან კი, რა კონტექსტს შეიძლება მისცენ საფუძველი ამერიკაში?! ეს ძალიან სარისკოა! უბრალოდ, არ მესმის, რატომ ვერ აცნობიერებენ ამას.

ერთი კითხვა მაქვს ამ 13 კონგრესმენთან: ადრეც იცოდნენ ივანიშვილი-პუტინის მოკავშირეობაზე და დუმდნენ ამაზე თუ ახლა გაიგეს? ესეც საინტერესოა.

გარდა იმისა, რომ ასეთი რიტორიკა არ უნდა გქონდეს სტრატეგიულ პარტნიორთან, ხელისუფლების ეს განცხადებები ძალიან ცუდად მუშაობს ქვეყნის შიგნით. ეს არის პირდაპირი გზავნილი, რომ ამერიკა ჩვენს შიდა საქმეებში ერევა. სწორედ აქ აძლიერებს იმ რუსულ ფრთას, რომელზეც არის საუბარი. ეს უნდა გააცნობიეროს „ქართულმა ოცნებამ“.

***– შეიძლება, ეს იყოს ერთგვარი წინასაარჩევნო გზავნილი, ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნების წინ გაკეთებული?***

– დიახ, დიდი ალბათობით, ეს სწორედ წინასაარჩევნო გზავნილია. თუ გავითვალისწინებთ უახლეს პოლიტიკურ ისტორიას 2003 წელს, 2012 წელს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გარდამტეხი არჩევნები იყო, დიახ, ასეთი გზავნილები პარტნიორი სახელმწიფოს მხრიდან არსებობდა. ამიტომ დღეს ხელისუფლების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ არჩევნები ჩატარდეს ისე, არც ერთი კითხვა არ გაჩნდეს არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ. უკვე ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

***– არჩევნების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით კითხვა რომ არ გაჩნდეს, ეს მთლიანად ხელისუფლების ხელშია, მაგრამ, რამდენად შეძლებს?***

– დიახ, მთლიანად მის ხელშია. ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ არჩევნების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს არავითარ შემთხვევაში. თუ არჩევნები ჩატარდება ისე, რომ არც ერთი კითხვა არავის არ ექნება, მაშინ არც არანაირი პრობლემა არ იქნება არც არავის მხრიდან და არც არავის მიმართ, მაგრამ ჯერჯერობით ხელისუფლება ამის თქმის საფუძველს არ იძლევა, რადგან რაღაც ზიგზაგებით მოძრაობს. ამიტომ გაურკვეველია, რა იქნება და როგორ.

***– რამდენად შეუწყობს ხელს ხელისუფლების ამ ზიგზაგებს თუნდაც ისეთი განცხადებები, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა: „არ ვაპირებ, მშვიდად ვუყურო საქართველოს განადგურებას. ვემზადები გამარჯვებისთვის“?***

– ბოლო დროს განცხადებები, რომლებიც კეთდება ორივე მხრიდან, ვგულისხმობ ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას, მკვეთრად აყალიბებს ორ ფრთას შორის რადიკალიზმს. არის ფაქტორები, რომ ქვეყანაში დაიწყოს დესტაბილიზაცია. ამიტომ ამერიკელ პარტნიორებს კი არ უნდა ვედავოთ, აქ, ჩვენში უნდა ვეძებოთ მიზეზები.

სააკაშვილის ეს განცხადება დასტურია იმისა, რომ რა პოსტიც არ უნდა ჰქონდეს მას უკრაინაში, ის ემზადება იმისთვის, რომ საქართველოს პრემიერი გახდეს.

***– საერთაშორისო ასპარეზი შეიძლება მიატოვოს და, თუ შანსი გაუჩნდება, საქართველოზე გადმოერთვება?***

– რა თქმა უნდა! არანაირი საერთაშორისო ასპარეზი სააკაშვილს უკრაინაში არ აქვს. თუ საქართველოში ისევ პირველი პირი იქნება, რატომაც არა. ამ ეტაპზე ზუგდიდიდან ნამდვილად ვერ ჩაუდგება ავტოკოლონას, მაგრამ სარფიდან კი შემოვა და ეს იქნება 2003 წლის რეანიმაცია.



***– ოპოზიცია კოალიციურ მთავრობაზე საუბრობს. რამდენად დაუთმობენ სააკაშვილს პრემიერის პოსტს? უკვე თქვა გიგა ბოკერიამ, გარედან სააკაშვილი წინა ხაზზე ვერ იქნებაო.***

– დამისახელეთ იმ კოალიციაში პარტია, რომელიც იტყვის, არა, მირჩევნია, რიგგარეშე არჩევნებზე წავიდეო – იქნება ასეთი პარტია ამ გაერთიანებაში?! არც ერთი პარტია არ იქნება. სააკაშვილის მხარდამჭერები კი მისი კანდიდატურის დაყენებას მოითხოვენ და ეს არ იქნება სპექტაკლი. ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა 99% სააკაშვილის მხარდამჭერია და არა გიორგი და გრიგოლ ვაშაძეების.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# ამირან სალუქვაძე: „პარტიები უნდა გადახალისდნენ“

## თუ თავს პროდასავლურ პარტიად მიიჩნევ, პრორუსულ პარტიას პარლამენტში ანუ ხელისუფლებაში მოსვლაში არ უნდა დაეხმარო

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**



***— ბატონო ამირან, თუ ოპოზიცია მაჟორიტარულ ოლქებში ერთიან კანდიდატებზე შეთანხმდება, არჩევნებში „ოცნებისთვის“ პრობლემების შექმნას შეძლებს?***

— რჩევების მიცემას არ ვაპირებ არც ოპოზიციისთვის და არც „ოცნებისთვის“. თუ რჩევები აინტერესებთ, მისამართი იციან. როდესაც ოპოზიცია ნათელაშვილის ოფისში შეიკრიბა, მაშინ ვთქვი, რომ პარტიები, რომლებიც საკუთარ თავს პროდასავლურს უწოდებენ, პრორუსულ პარტიებთან არც ერთ საკითხში არ უნდა თანამშრომლობდნენ. ეს არის ჩემთვის აქსიომა. მაშინ ამბობდნენ, თითქოს მხოლოდ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით თანამშრომლობდნენ.

დღეს ნელ-ნელა იკვეთება, რომ არის მცდელობა შეთანხმებულად იმოქმედონ როგორც მაჟორიტარულ ოლქებში, ისე, ზოგადად, არჩევნებთან დაკავშირებით. თუ თავს პროდასავლურ პარტიად მიიჩნევ, პრორუსულ პარტიას პარლამენტში ანუ ხელისუფლებაში მოსვლაში არ უნდა დაეხმარო.

არც ერთი პოლიტიკური ლიდერის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ისინი თავის დროზე საკმაოდ მძიმე ეპითეტებით ამკობდნენ ერთმანეთს (მათ შორის, მოღალატეებსაც ეძახდნენ). დღეს ორივე მიმართულებით თანამშრომლობენ და ერთმანეთს ხელს უწყობენ, სხვადასხვა გზით (მაჟორიტარული თუ პროპორციული) პარლამენტში შეიყვანონ.

არ ვიცი, არჩევნებზე ცალკე გავლენ თუ ბლოკებად. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით იკვეთება, რომ შეიძლება, პრორუსულ პარტიას ე.წ. პროდასავლურმა პარტიამ კანდიდატი არ დაუყენოს, რაც პირადად ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, ღირებულებითი შეუთავსებლობაა.

***— ბევრი სხვისთვისაც მიუღებელია.***

— გაცილებით უკეთესი იქნებოდა, პოლიტიკური სპექტრის, პარტიების გადახალისება მომხდარიყო. არ ვამბობ, რომ ახალი პარტიები ჩამოყალიბდეს. ალბათ, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ ერთ სულ მოსახლეზე თუ მილიონ მოსახლეზე პარტიების რაოდენობით. ღია წყაროებით, საქართველოში 239 პარტიაა.

240-ე პარტიის ჩამოყალიბების აუცილებლობას ვერ ვხედავ, მაგრამ პარტიები შიგნით უნდა გადახალისდნენ. ყველა არჩევნებს აგებენ და მაინც ისევ იმ ლიდერებთან გვაქვს საქმე. ქვეყანაში შიდაპარტიული განახლებები არ ხდება. პოლიტიკაში შემოვიდნენ რაღაც პარტიები, მაგრამ...

***— სულ ერთი და იგივე სახეებია.***

— დიახ, ერთი და იგივე სახეებია. ისინი წლების განმავლობაში ხან ერთ პარტიაში არიან, ხან — მეორეში, ჯერ პარტიას აყალიბებენ, შემდეგ ტოვებენ ან აუქმებენ და სხვა პარტიაში გადადიან, რადგან არ გააჩნიათ ის ღირებულებები, რა ღირებულებებსაც უნდა ეფუძნებოდეს საერთოდ პარტია და რა ღირებულებების გამოც პოლიტიკოსები მიდიან პოლიტიკაში. ჩვენთან ეს არის პრობლემა. პრიმიტიული და უინტერესო ვითარებაა. პროცესი უარესობისკენ მიდის.

***— რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ ხარისხს. მისი გაუმჯობესების პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. 2020 წლის არჩევნებზე არავითარ სიახლეს არ უნდა ველოდოთ. იმედი მაქვს, 2020-ის არჩევნების შემდეგ, იმ შედეგებიდან გამომდინარე, რომელსაც მივიღებთ, ვიხილავთ პარტიების შიდაგანახლებას საკუთარი ან საზოგადოებაში არსებული რესურსებიდან.

პარტიები უნდა დალაგდნენ ღირებულებებისა და იდეოლოგიის მიხედვით. პარტიებს იდეოლოგია არ გააჩნიათ. მხოლოდ პროდასავლური პარტიის წოდება არაფერს ნიშნავს. დასავლეთში ათასგვარი სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიაა.

ამას შარშანწინ ვამბობდი. დღეს პრორუსულ და პროდასავლურ პარტიებად დაყოფა არაფერს იძლევა და იმავე სურათს ვიღებთ. რაც გინდათ, დაარქვით, ერთ ოფისში სხედან სხვადასხვა ორბიტაზე მყოფი პარტიები და მუშაობენ იმაზე, როგორ დაუპირისპირდნენ „ოცნებას“.

სინამდვილეში პროდასავლურ პარტიას გაჰყავს პრორუსული პარტიის წარმომადგენელი და, პირიქით, პრორუსული პარტია ეხმარება პროდასავლურს პარლამენტში გასასვლელად იმისათვის, რომ ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ. ჩემთვის ეს საინტერესო არ არის. თუ რაღაც სხვა სცენარები არ განვითარდა, უარყოფით შედეგს მიიღებენ.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მოეხდინათ შიდაგანახლებები და ახალი სახეები გვეხილა, ახალი ღირებულებებისა და იდეოლოგიის. ხალხს უნდა დაანახო, რომ უკეთეს პროგრამას სთავაზობ, ვიდრე „ქართული ოცნება“. უნდა შეეჯიბრონ ხელისუფლებასთან კვალიფიციურ დებატებში, უკეთესი პროგრამებითა და ინიციატივებით. საქართველოში პოლიტიკური სპექტრი განვითარებაზე ორიენტირებული არ არის. მხოლოდ დესტრუქცია, მხოლოდ „ყველა ერთის წინააღმდეგ“, რასაც 15 წელია, ვუყურებთ.

***— ეს ერთი ფორმულა აქვთ (ფორმულა „ყველა მინუს ერთი“) ზვიად გამსახურდიას დროიდან.***

— ზვიად გამსახურდია საბჭოთა კავშირს, უზარმაზარ მონსტრს ებრძოდა. ეს უნდა დამთავრდეს, უკვე ყელში ამოვიდა. მინდა საინტერესო პოლიტიკური ლიდერების ხილვა საინტერესო პროგრამებით. საუბრობენ პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართვაზე, მაგრამ ახალგაზრდებს მხოლოდ მიტინგებზე უშვებენ, დანარჩენი ყველაფერი იგივეა. ერთადერთი, შეიძლება, პარტიულ სიებში რამდენიმე ახალგაზრდა ჩასვან, ზოგი — გამსვლელ პოზიციაზე, ზოგიც — სადღაც ბოლოში, საიდანაც პარლამენტში ვერასოდეს გავა.

მაჟორიტარული ოლქები ცოტაა, პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები მაჟორიტარულ სისტემას ებრძოდნენ. ისინი უნდა ამბობდნენ, მაჟორიტარულ სისტემას ვებრძვით და მაჟორიტარები არ ვიქნებით, რომელიმე ჩვენს ნაკლებად ცნობილ სახეს დავაყენებთ, ყველა მხარს დავუჭერთ და გავიყვანთო. ეს იქნება ნორმალური.

***— „ოცნებას“ ეძახიან პირველ ძალას, ნაცმოძრაობას (ევრონაცებიც მათთან მოიაზრება) — მეორე ძალას. ბევრი ამბობს, რომ მესამე ძალაა საჭირო. არსებულ ვითარებაში მესამე ძალის წარმოქმნა როგორ წარმოგიდგენიათ?***

— მესამე ძალის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვსაუბრობდი. მესამე ძალა საჭიროა. შემდეგ დაიწყო მოძრაობები, ზოგმა თავის თავს მესამე ძალა უწოდა (დავით მაღრაძის მოძრაობას ვგულისხმობ), მაგრამ გაქრა, აორთქლდა. სხვა ძალები ჯერჯერობით არ ჩანს.

ახალი პოლიტიკური პარტია, „ლელო“, შემოვიდა თითქოს იმ რესურსითა და შესაძლებლობებით (ფულად შესაძლებლობებს ვგულისხმობ), რაც პოლიტიკური ძალის გაჩენისთვის არის აუცილებელი.

***— „ლელოს“ დამფუძნებლებს პოლიტიკური კაპიტალი ჰქონდათ, რომ მესამე ძალის მანტია მოესხათ?***

— პოლიტიკური კაპიტალი თუ აქვს, ის უკვე ძალაა. ახალ ძალას პოლიტიკური კაპიტალი როგორ ექნება. ჯერ უნდა გამოჩნდეს, რომ პოლიტიკური კაპიტალი დააგროვოს. პოლიტიკური კაპიტალი აქვთ „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას თავისი განაყოფი ევრონაცებით. დანარჩენ, აბსოლუტურად არც ერთ პარტიას პოლიტიკური კაპიტალი არ გააჩნია, მათი არსებობის წლების მიუხედავად. გამოცდილება ნიშნავს გარკვეულ წონასაც.

პარტიის კაპიტალი მხოლოდ რამდენიმე ცნობადი სახით (რომელსაც ტელევიზიები ატრიალებენ) კი არ იზომება, არამედ იმით, მის უკან როგორი მხარდაჭერაა, ანუ მისი მეზობლები და ოჯახის წევრები უჭერენ მხარს თუ ცოტა მეტნი. პარტიას, რომელიც 1%-ს ძლივს ებღაუჭება, პოლიტიკური კაპიტალის მქონე პოლიტიკურ ძალად არ მივიჩნევ, მით უმეტეს, მესამე ძალად ჩამოყალიბების პერსპექტივა მას არ აქვს.

ახალ ძალაში, „ლელოში“, რომელიც ასპარეზზე გამოვიდა, ძირითადად ორი ადამიანი იყო — ხაზარაძე და ჯაფარიძე.

***— უსუფაშვილიც დაემატა.***

— შემდეგ მიემატა უსუფაშვილი და სხვა გვარები, მაგრამ ძალა ორი კაცის, ხაზარაძე-ჯაფარიძის ირგვლივ ყალიბდება. სხვებს თავი დავანებოთ. ისინი არიან ცნობადი სახეები სერიოზული რესურსებით. ისინი პოლიტიკურ სივრცეში არასწორად შემოვიდნენ, განაცხადეს, ოპოზიციასთან ერთად რაღაც საკითხებში ვმონაწილეობთ, მაგრამ ცალკე ვართო. თავიდანვე ვერ ჩამოყალიბდნენ. ახლაც დაახლოებით ასე არიან.

მათ ვერ ჩამოაყალიბეს იდეოლოგია და რაღაც განცხადებების გამო ერთი წევრი დაკარგეს. მკაფიოდ უნდა გაწერო, როგორია შენი დამოკიდებულება ტრადიციული და არატრადიციული ღირებულებების მიმართ, ეკლესიასთან დაკავშირებით რას ფიქრობ, უჭერ თუ არა მხარს ეკლესიაზე შტურმს, ანუ ძირითადი ფასეულობები, პრინციპები რა არის და რაზეც აგებ პარტიულ იდეოლოგიას, უნდა ჩამოაყალიბო და ხალხს გააგებინო, შენს მოძრაობაში ლიდერები იმის მიხედვით უნდა გააწევრიანო.

„ლელოში“ აბსოლუტურად განსხვავებული ხალხია. ცადეთ, დაუსვით პრინციპული შეკითხვები, „ლელოს“ წარმომადგენლებს და ნახავთ, რამდენად განსხვავებული აზრის ადამიანები არიან, რადგან არასწორად ჩამოყალიბდნენ. საქართველოს მოსახლეობა გამოცდილია და აღარ ტყუვდება. ჩემი აზრით, „ლელოს“ ლიდერებმა წინასაარჩევნოდ საკმაოდ სერიოზული შეცდომები დაუშვეს. ალბათ, გამოუცდელობის ბრალია, მაგრამ ბადრი ჯაფარიძეს გამოცდილება აქვს, დეპუტატი იყო.

***— მე მგონი, ხაზარაძეს კარგი ავტორიტეტი არ აქვს, რადგან მას ბრალად სდებდნენ საakaშვილთან თანამშრომლობით ბიზნესმენებისთვის ბიზნესის წართმევას.***

— მე ამ საკითხებს შეგნებულად არ შევეხე. ჩემი დანიშნულება არ არის პოლიტიკოსების ან პარტიების წარსულის ქექვა. ამას ხალხი თავად აფასებს. მე უფრო პოლიტიკური კუთხით მივუდექი. რაც შეეხება პიროვნულს, მოსახლეობა ბევრ რამეს იმახსოვრებს. შეიძლება, ბევრი რამ დამსახურებული იყო, ბევრი რამ — დაუმსახურებელი, იგივე რაც შეეხება საბანკო საქმიანობას, ვალებს, სახლებსა და ა.შ.

ხალხში ეს სტერეოტიპი ჩამოყალიბებულია. მას არც კი უცდია იმ სტერეოტიპის განეიტრალება, რომელიც მოსახლეობაში არსებობს, რაც შეცდომაა. დრო ცოტა რჩება. მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში რომ ილაპარაკებ, საკმარისი არ იქნება.

წარსულის შლეიფი ყველა ადამიანს მიჰყვება, მათ შორის, ხაზარაძესაც. მე უფრო არასწორად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ მოძრაობაზე ვისაუბრე, რაც დღემდე პარტია „ლელოს“ მოჰყვება. პოლიტიკურ სივრცეში ახალი სხვა არავინ არის.

***— თქვენ კი არ მოგწონთ პრორუსული და პროდასავლური პარტიების თანამშრომლობა, მაგრამ ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც ნათელაშვილის ოფისში იკრიბება, ამბობს, რომ „ძალა ერთობაშია“.***

— „ძალა ერთობაშია“ სხვა პოლიტიკური ძალის ლოზუნგია. იქ სხვები არიან, სხვა რამ ჩამოაყალიბეს (ყველა ერთის წინააღმდეგ), მაგრამ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. ბევრის ერთად თავმოყრა ხარისხს არ ნიშნავს. ჩემთვის უფრო საინტერესო და მიმზიდველია რამდენიმე პოლიტიკური ძალის გაერთიანება, რომელსაც ერთი იდეოლოგია აქვს. როცა ის იდეოლოგია მომწონს, მაშინ ვემხრობი, როცა გოგლიმოგლი და პოლიტიკური ვინეგრეტია, მიუღებელია. პროდასავლურმა პარტიამ ერთი კაციც რომ გაიყვანოს პარლამენტში პრორუსული, მისი ავტორიტეტი ჩემს თვალში მკვდარია.

***— როდესაც პროდასავლურ პარტიებზე საუბრობთ, მიგაჩნიათ, რომ ნაცმოძრაობა და ევრონაცები პროდასავლურები არიან?***

— მე გამოვიყენე ე.წ. დასავლური პარტიები.

***— აბა, ვინ არიან პროდასავლური ძალები იმ ოპოზიციურ გაერთიანებაში, ნათელაშვილთან რომ იკრიბება?***

— პროდასავლური ძალა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ შენ ნატოსთან გაერთიანებასა და ევროკავშირთან თანამშრომლობაზე საუბრობ. ევროკავშირთან იანუკოვიჩიც თანამშრომლობდა. პროდასავლურობა არის იდეოლოგია.

***— კი მაგრამ, ვინ არის დღეს პროდასავლური ძალა ოპოზიციაში?***

— ვინც დღეს რუსულ ძალასთან თანამშრომლობს, პროდასავლური ძალა არ არის. დანარჩენზე თვითონ ჩამოყალიბდნენ. ჩემი აზრით, არასწორ გზაზე დგანან.

# ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი საქართველოს ხელისუფლების გასამართლებას მოითხოვს

## რა მიმართვა გაიგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებში

მარიამ მჭედლიშვილი

ცხინვალის საოკუპაციო ადმინისტრაციამ საერთაშორისო ორგანიზაციებსაა და მოსკოვში აკრედიტებული ყველა სახელმწიფოს ხელისუფლებებს მიმართა.

ცხინვალი საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს და ძველი ქმედებების გამო მის გასამართლებას მოითხოვს.

საოკუპაციო რეჟიმი დიდი ხანია აანონსებდა „ოსთა გენოციდის“ 100 წლისთავის ფართოდ აღნიშვნას და მსოფლიო საზოგადოების დეტალურად ინფორმირებას 1920 წლის მოვლენებზე. თუმცა ამაში საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების დადანაშაულება სიახლეა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, 1920 წელს მომხდარი მოვლენების გენოციდად აღიარებისკენ ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებმა ოსებმა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატას შარშან მიმართეს. საკითხის შესასწავლად სახელმწიფო დუმაში სპეციალური კომისია შეიქმნა.

კომისია მუშაობს, რუსეთის ხელისუფლება გენოციდის ოფიციალურად აღიარებას ერიდება. მოსკოვი საოკუპაციო რეჟიმს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობაში ეხმარება.

20 ივნისი საქართველოსთვის მხოლოდ „გავრილოვის ღამის“ წლისთავი არ იქნება. ეს დღე ოსებისთვის მშვიდობიანი ოსი მოსახლეობის დახოცვისა და მოკლულების ხსოვნის დღეა.

ეს მოვლენები ირიბად ებმის თბილისში შარშან განვითარებულ პროცესებს, რუსეთის საწინააღმდეგო ანტისაოკუპაციო მოძრაობასა და პუტინის განცხადებებს.

შარშან, 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ საქართველომ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოიჩინა აგრესია აფხაზებისა და ოსების მიმართ.

ცხინვალის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ვრცელი განცხადება, რომელიც რუსეთში აკრედიტებულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს — გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს, ევროპარლამენტს გაეგზავნა, პუტინის განცხადების გაგრძელებაა.

მასში საუბარია იმაზე, თითქოს ქართველებმა სხვადასხვა წლებში მოაწყვეს მშვიდობიანი ოსი მოსახლეობის გენოციდი, სხვა წლებში კი „კულტურულ“ გენოციდს ახორციელებდნენ.

წერილი სავსეა მტრული განწყობით და არ ჯდება ქართველებისა და ოსების მეგობრობის, შერეული ოჯახების ჩამოყალიბებულ ტრადიციებში.

წერილის ავტორების მტკიცებით, ქართველები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ოსური ენის ამოსაძირკვად. სინამდვილეში, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ფუნქციონირებდა ოსური სკოლები და შენარჩუნებული იყო თვითმყოფადობა.

მიმართვის მიზანია არა მხოლოდ ოსების გენოციდის საკითხის წამოწევა, არამედ, იმის მტკიცება, რომ ცხინვალის რეგიონი ისტორიულად არასდროს ყოფილა საქართველოს ტერიტორია, რომ ცხინვალელი ოსების ბუნებრივი მდგომარეობა ჩრდილოელ ოსებთან „მხსნელი“ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნაა.

ცხინვალის რეჟიმი საერთაშორისო საზოგადოებას აცნობებს, რომ მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ოსეთი-ალანია საგარეო ბატონობისაგან თავისუფალი იყო, იმ დროს, როცა მეზობელი საქართველო შუა საუკუნეებში 300 წლის განმავლობაში წარმოადგენდა სპარსეთისა და ოსმალეთის პროვინციას. მათი ბატონობისაგან საქართველო რუსეთმა იხსნა.

საოკუპაციო რეჟიმი აცხადებს, რომ ოსეთი რუსეთის ნაწილი 1774 წელს გახდა. რუსეთის იმპერიაში შევიდა ქართული მიწებიც. ქართველი ფეოდალები ოსურ მიწებზე პრეტენზიას ყოველთვის აცხადებდნენ.

მიმართვაში ნათქვამია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, 1918 წელს, ოსეთში უკვე ფუნქციონირებდა ლეგიტიმურად არჩეული ორგანო — ოსეთის ეროვნული საბჭო. ოსეთის დელეგატთა საბჭოს მესამე ყრილობამ 1918 წლის 28 მაისს არ მიიღო საქართველოს მენშევიკური მთავრობის მოწოდება, ეცნო მისი ხელისუფლება.

ავტორების მტკიცებით, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაავლო საზღვარი რუსეთთან. ამის შედეგად ოსური მიწების ნაწილი აღმოჩნდა საქართველოს შემადგენლობაში. ამას ეწინააღმდეგებოდა ოსი მოსახლეობა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მისი დასჯა გადაწყვიტა.

მათი თქმით, სადამსჯელო ოპერაცია დაიწყო 1920 წლის 12 ივნისს. 20 ივნისისთვის განადგურებული იყო ოსი ხალხის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მაშინ დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ამოჟლეტა. ადამიანები დაიხოცნენ სამხედროების ხელით, ასევე — ჩრდილოეთში გაქცევისას შიმშილისაგან.

ცხინვალის რეჟიმი მომხდარზე პასუხისმგებლობას აკისრებს არა მარტო მენშევიკურ ხელისუფლებას, არამედ, საქართველოს ყველა შემდგომ ხელისუფლებასაც. ბოლშევიკებს არ უღიარებიათ გენოციდი. კომუნისტურმა ხელისუფლებამ ოსეთი გაყო. ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთში მოხვდა, სამხრეთი კი ავტონომიური ოლქის სახით ოსი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ შეიყვანეს საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში.

ავტორები ოსების მიმართ მტრული პოლიტიკის გატარებას თბილისის ტრადიციად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ცხინვალელი ოსების მიმართ კულტურული გენოციდი და ასიმილაციის მცდელობაც იყო.

— ამ იდეოლოგიას დღესაც ვაკვირდებით, — ნათქვამია მიმართვაში.

ავტორები მსოფლიოს ამცნობენ ქართული „ფაშიზმის“ გამოვლინებებს 1989, 1992 წლებში, 2008 წლის მოვლენებს კი მის კულმინაციად თვლიან.

მათი თქმით, დანაშაულის დაუსჯელობას მოსდევს მისი გამეორება. ამიტომ დამნაშავეები უნდა გასამართლდნენ. მათ პასუხი უნდა აგონ. საქართველოს ხელისუფლება არის 1918-20 წლების საქართველოს მთავრობის, ასევე, შემდგომი ხელისუფლებების სამართალმემკვიდრე. ამის გამო ის უნდა გასამართლდეს.

## რუსთავში მამაკაცი დაჭრეს

10 ივნისს რუსთავში მამაკაცი დაჭრეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 30 წლამდე ახალგაზრდა ძველ რუსთავში, ქაშაკაშვილის ქუჩაზე დაჭრეს. მამაკაცს სხეულის სხვადასხვა ადგილზე, სავარაუდოდ, დანით 5 ჭრილობა მიაყენეს. ახალგაზრდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. ემერჯენსის გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გელაშვილმა „ინფო რუსთავს“ განუცხადა, რომ მამაკაცს ოპერაცია ჩაუტარდა.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

## მდინარე წყალწითელაში 14 წლის მოზარდი დაიხრჩო

10 ივნისს ქუთაისის მახლობლად, მდინარე წყალწითელაში, 14 წლის მოზარდი გაუჩინარდა.

ბავშვი მდინარეში საბანაოდ შევიდა და ველარ პოულობდნენ.

შსს-ს განმარტებით, ადგილზე მისულ სახანძარო-სამაშველო ჯგუფს ბავშვის ცხედარი ნაპირზე ამოსვენებული დახვდა.

## ტრაგედია ლომისობაზე — მლეთის მთაზე ონისე ვარდიაშვილი გარდაიცვალა

10 ივნისს ლომისობის დღესასწაულზე ტრაგედია დატრიალდა.

მლეთის მთაზე ტაძარში მოსალოცად ასული მამაკაცი მოულოდნელად გარდაიცვალა.

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, გარდაცვლილი 56 წლის ონისე ვარდიაშვილია. ის სოფელ დილომში ცხოვრობდა და ლომისობის დღესასწაულზე ახლობლებთან ერთად იყო წასული. მლეთის მთაზე წმინდა გიორგის ტაძრამდე მომლოცველები რთულ გზას ფეხით გადიან. სალოცავთან ასული ონისე ვარდიაშვილი უეცრად შეუძლოდ გახდა.

წინასწარი ვერსიით, მას, სავარაუდოდ, გულის შეტევა დაემართა. ადგილზე პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება ტრადიციულად სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო. ცხედარი თბილისში, ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული მ.ა. მკვლელობის მცდელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 10 ივნისს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1986 წელს დაბადებულ მ.ლ.-ს ცივი იარაღით გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა.

სამართალდამცველებმა მ.ა. შემთხვევის ადგილზე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

## გურჯაანის სამხედრო გაწვევის სამსახურის თანამშრომელი ქრთამს იღებდა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე გურჯაანის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის თანამშრომელი დააკავა.

არსებული ინფორმაციით, საგამოძიებო უწყება, გურჯაანის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის თანამშრომელი გარკვეული თანხის აღების სანაცვლოდ, წვევამდელს გაწვევის თარიღის გადავადებას ჰპირდებოდა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ფაქტს ადასტურებენ, თუმცა, მიმდინარე საგამოძიებო პროცესიდან გამომდინარე, დეტალებზე არ საუბრობენ.

# ბოდბისხევში ნაპოვნი ახალშობილის საქმე გახსნილია

### დედამ აღიარა, რომ იმშობიარა და ბავშვი ბენზინგასამართ სადგურთან დატოვა

ბოდბისხევში ნაპოვნი ახალშობილის დედამ აღიარა, რომ იმშობიარა და ბავშვი ბენზინგასამართ სადგურთან დატოვა.

ბავშვის მამა აცხადებს, რომ მეუღლის ორსულობის შესახებ არაფერი იცოდა და ცოლი აცხადებდა, რომ მას სიმსივნე ჰქონდა.

ცოლის ორსულობის შესახებ კი მაშინ გაიგო, როცა მათთან სამართალდამცავები მივიდნენ. მისი თქმით, მას ბავშვის გაზრდა თავად სურს, თუმცა ეჭვობს, რომ განვითარებული მოვლენების გამო ბავშვი დაუბრუნონ. ქალის მეუღლე ასევე ამბობს, რომ არ იცის ჰქონდა, თუ არა ქალს ფსიქოლოგიური პრობლემები

„რომ შეგეხედა, ნორმალური ადამიანი იყო და რა ვიცი“, – აცხადებს ქალის მეუღლე.

ჩვილი გამვლელებმა გუშინ, 11 ივნისს, დილით იპოვეს და პოლიციას აცნობეს. ბავშვი კლინიკაში გადაიყვანეს, ჩვილის ჯანმრთელო-



ბის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა, ექიმების თქმით, მას სხეულზე დაზიანებები აღენიშნება, რომლებიც, სავარაუდოდ, დაცემის შედეგად მიიღო.

საავადმყოფოში იმყოფება ახალშობილის დედაც. 40 წლის ქალი საგარეჯოს კლინიკაში თავად მივიდა და იქ აღიარა, რომ ბოდბისხევში იმშობიარა და ჩვილი დატოვა. ექიმის განცხადებით, ქალი სამედიცინო დაწესებულებაში სისხლდენით მივიდა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარება დასჭირდა. ამ დროისთვის ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

— შევიყვანეთ მცირე საოპერაციოში, სადაც სისხლდენა უნდა შეჩერებულიყო, შემდგომ დიდი საშვილოსნოს გამო და პარალელურად შეკითხვებით გავიგეთ, რომ ამბობდა, ვიმშობიარეო, მერე გავარკვიეთ, რომ ბოდბისხევში უმშობიარია და როგორ მოხვდა აქ, არ ვიცი. მალევე მოჰყვა პოლიციაც, — აცხადებს ექიმი ლევან ტიგინაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენების მუხლით დაიწყო.

# ერეკლე თედლიაშვილის დედა: „ჯერ ჩემი შვილი იყოს ცოცხალი, დანარჩენს დეტალებში გავარკვევ!“




გორში მომხდარი ჩხუბის დროს დაშავებული 18 წლის მოზარდის ადვოკატი გორის პოლიციაში გამოძიების მიმდინარეობის დეტალებს გაეცნო. დაზარალებულს, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია, ფიზიკური დაზიანებები, წინასწარი ინფორმაციით, ყოფილი მოკრივის, გიორგი კანდელაკის, შვილმა თარაშ კანდელაკმა მიაყენა.

„კურიერთან“ დაშავებულის მშობლები ალაპარაკდნენ. დედა საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვს. კეთდება განცხადებები სავარაუდო მოტივთან დაკავშირებითაც. ოჯახის ინფორმაციით, 18 წლის ერეკლე თედლიაშვილი მეგობრებთან ერთად კანდელაკის ოჯახის კუთვნილ რესტორანში დაბადების დღეზე იმყოფებოდა, როდესაც ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა კანდელაკთან და მის მეგობრებთან. რა გახდა უთანხმოების მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

18 წლის მოზარდი „ჯერარსის“ კლინიკაში წევს. მან თავის ტვინის ძლიერი დაზიანებები 7 ივნისს, რესტორან „ჯოზეფთან“ დაპირისპირების დროს მიიღო. დედა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტაბილურდება, მომხდარს ოჯახი დეტალურად გამოიძიებს.

ერეკლე თედლიაშვილის ინტერესების დამცველი საქმის გამომძიებელს გორის პოლიციაში შეხვდა. ადვოკატი ამბობს, რომ გამოძიება გრძელდება და მოზარდების გამოკითხვა ჯერ არ დასრულებულა. ოჯახი არ გამორიცხავს, რომ თარაშ კანდელაკის გარდა დამნაშავე პირთა წრე კიდევ გაიზარდოს.

თარაშ კანდელაკი ერთადერთია, რომელიც 20-25-კაციანი ქუჩური გარჩევისთვის დააკავეს. გამოძიებით ირკვევა, რომ სწორედ ის იყო პირი, რომელმაც ერეკლე თედლიაშვილი სასტიკად სცემა. კანდელაკების ოჯახი კომენტარზე უარს ამბობს. ჩხუბის დეტალებზე არ საუბრობენ არც გიორგი კანდელაკის რესტორანში, საიდანაც ყველაფერი დაიწყო.

თარაშ კანდელაკის ადვოკატი შოთა მანელიძე აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მთავარი საზრუნავია დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

— ჩვენთვის, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ დაკავებულის ოჯახს, უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ახალგაზრდა ბიჭის, ერეკლე თედლიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებთ ზედმეტი კომენტარის გაკეთებისგან და ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე, ერთ-ერთი პირველი საზრუნავი არის თედლიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ გაჟღერდა, თითქოსდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი იმყოფებოდა ინციდენტის ადგილზე ვინმე სხვა პირთან ერთად, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ინციდენტის არსებობისას, ადგილზე იმყოფებოდა მხოლოდ თარაშ კანდელაკი, — განაცხადა დაკავებულის ადვოკატმა.

პოლიციაში იმყოფებოდა დაზარალებული ოჯახის ინტერესების დამცველი ადვოკატი თამარ თედლიაშვილიც. ის გამოძიების მიმდინარეობით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ ოჯახს გამოძიების იმედი აქვს.

— ჩვენ ვენდობით გამოძიებას. თუ რაიმე უნდობლობა გაჩნდება, ამას აუცილებლად განვაცხადებთ. ჩვენთვის რაც არის ცნობილი, ის არის საკმარისი, — განაცხადა თამარ თედლიაშვილმა.

საქმეზე გამოძიება 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. დანაშაული 3-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

# გიორგი რურუა კვლავ პატიმრობაში რჩება

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე, ბრალდებული გიორგი რურუა, კვლავ პატიმრობაში რჩება.

მას აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გირაოს სანაცვლოდ არ შეეცვალა. გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ პატიმრობის 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეცვლის შუამდგომლობა დააყენა, ვინაიდან ბრალდების მხარემ მოწმეთა დაკითხვა დაასრულა. აღნიშნული შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა არ დააკმაყოფილა.

პროკურორ ვასილ სამხარაძის განცხადებით, შესწავლილი მტკიცებულებების ერთობლიობა გიორგი რურუას ბრალეულობას ადასტურებს.

პროკურორის თქმით, ბრალდების მხარემ მიუთითა, რომ რურუას მხრიდან მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არსებობს, რაც სასამართლომ გაიზიარა.

— დასრულდა გიორგი რურუას ბრალდების საქმეზე ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა. ამ ხნის განმავლობაში დაკითხულ იქნა 34 მოწმე, ასევე, გამოკვლეულ იქნა სამი ობიექტის ვიდეოჩანაწერები, წერილობითი მტკიცებულებები, ასევე, ის ნივთიერი მტკიცებულებები, როგორებიც არის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, მაყუჩი. გიორგი რურუას ნერწყვის ნიმუში, ასევე, მისი ტანსაცმელი. ბრალდების მხარე თვლის, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობით ნამდვილად დაადასტურა წარდგენილი ბრალდება.

სასამართლომ ასევე, იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების თაობაზე. დაცვის მხარეს ჰქონდა შუამდგომლობა, რათა შეცვლილიყო აღკვეთის




ღონისძიება. ბრალდების მხარე არ დაეთანხმა ამ გარემოებას და მიუთითა, რომ კვლავაც არსებობს მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. სასამართლოს მხრიდან გაზიარებულ იქნა აღნიშნული არგუმენტი და ბრალდებული დატოვა პატიმრობაში, — განაცხადა პროკურორმა.

ამ საქმის განხილვის ბოლო დღეს პროკურორი რომ ადგეს და თქვას, ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეგვეშალა და რურუას კი არა, დიტო საძაგლიშვილს ჰქონდა იარაღიო, დარწმუნებული ვარ, მოსამართლე ბუგიანიშვილიც უაპელაციოდ გაიზიარებს ამას და ამ საქმის ფარგლებში მეც კი მომისჯის დაახლოებით 7 წელს, — ამის შესახებ გიორგი რურუას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც მან ჟურნალისტებთან აღნიშნა, გიორგი რურუას პატიმრობაში დატოვების არანაირი საფუძველი არ არსებობდა.

— რეალურად, გიორგი რურუა პატიმრობაში იმყოფება მხოლოდ პროკურატურის შაბლონური ფრაზებით და ეს შაბლონური ფრაზები ყოველთვის უაპელაციოდ არის გაზიარებული მოსამართლის მიერ. ცხადია, რომ მოსამართლე არ უნდა ისროდეს აბსტრაქტულ, უშინაარსო ფრაზებს, რომ მიიმალება, ჩაიდენს ახალ დანაშაულს, არამედ კონკრეტულ გარემოებებს უნდა უთითებდეს, თუ საიდან მომდინარეობს ეს რისკი, მაგრამ, ცხადია, რომ ვერ მიუთითებენ ამ გარემოებებზე, ვინაიდან ასეთი გარემოება ბუნებაში არ არსებობს, აღარ არსებობდა არანაირი საფუძველი გიორგი რურუას პატიმრობაში დატოვების იმიტომ, რომ აქამდე თუკი თეორიულად ბრალდების მხარე ასაბუთებდა საკუთარ პოზიციებს, რომ პატიმრობაში უნდა ყოფილიყო რურუა, თურმე იმიტომ, რომ მას შეიძლება, ზეწოლა მოეხდინა მოწმეებზე, ახლა ყველა მოწმე დაკითხულია და რურუა ფიზიკურად ვერავისზე ზეწოლას ვერ მოახდენდა.

რაც შეეხება პროცესის ზოგად შეფასებას, ცხადია, რომ ამას არანაირი საერთო არ აქვს სამართალთან, არანაირი საერთო არ აქვს სასამართლოსთან, ეს არის გარკვეულწილად საცირკო წარმოდგენა, სადაც მხარეები გარკვეულწილად ვთამაშობთ, რომ ჩვენ ვართ ადვოკატები, ვიღაცები არიან პროკურორები და ვიღაცები არიან თითქოს მოსამართლეები, რომლებიც იღებენ მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, ბოლო დღეს, ამ საქმის განხილვის ბოლო დღეს პროკურორი რომ ადგეს და თქვას, ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეგვეშალა და რურუას კი არა, დიტო საძაგლიშვილს ჰქონდა იარაღიო, დარწმუნებული ვარ, მოსამართლე ბუგიანიშვილიც უაპელაციოდ გაიზიარებს ამას და ამ საქმის ფარგლებში მეც კი მომისჯის დაახლოებით 7 წელს, — განაცხადა ადვოკატმა.

# ადვოკატი: „სასამართლოში დაკითხულმა მოწმემ მარიანა ჩოლოიანის სასარგებლო ჩვენება მისცა“

15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალების საქმეზე დაკავებული მარიანია ჩოლოიანის ადვოკატ გაგი მოსიაშვილის განცხადებით, სასამართლოში გუშინ, 11 ივნისს დაკითხულმა მოწმემ ჩოლოიანის სასარგებლო ჩვენება მისცა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსიაშვილმა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

— ინფორმაცია, რომელიც პროცესზე ბრალდების ერთ-ერთმა მოწმემ სასამართლოს მიაწოდა, მხოლოდ და მხოლოდ დაცვის მხარეს გამოადგება, რათა კიდევ ერთხელ დადასტურდეს მარიანა ჩოლოიანის მიმართ დაუსაბუთებლად წარდგენილი ბრალი. დღემდე დაკითხული არც ერთი მოწმე და უკვე ძალიან ბევრი მოწმეა




დაკითხული, არ საუბრობს მარიანა ჩოლოიანის ბრალეულობაზე. კიდევ ერთხელ განვმარტავ და ყურადღებას გავამახვილებ იმ გარემოებაზე, რომ ამ ეტაპზე ჩვენ ვკითხავთ ბრალდების მოწმეებს, ხოლო ბრალდების მოწმეების მიერ მიწოდებული ინფორმაცია სწორი სამართლებრივი ანალიზის შედეგად არის მარიანა ჩოლოიანის გამართლების წინაპირობა. ინფორმაცია, რომელიც დღეს მიწოდებული იქნა მოწმის მხრიდან, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მარიანა ჩოლოიანის მხრიდან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას არ ადასტურებს. დეტალებზე, თუ რა თქვა მოწმემ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ვერ ვსაუბრობ, — განაცხადა მოსიაშვილმა.

# ფერადკანიანი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გახდა



აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს ახალი სარდალი ჰყავს. ეს პოსტი ჩარლზ ბრაუნმა (დაბ. 1962 წ.) დაიკავა. ის პირველი ფერადკანიანია, რომელიც ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს სათავეში ჩაუდგა. ბრაუნმა ელიტური განათლება მიიღო. ის არა მხოლოდ სამხედრო, არამედ მეცნიერიცაა. მან ბრწყინვალედ დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, არის ტეხასის უნივერსიტეტში სამოქალაქო მშენებლობის დარგის მაგისტრი, აგრეთვე – ავიაციურ მეცნიერებათა მაგისტრი.

ბრაუნი კაბინეტური ტიპის მეცნიერი არ არის. ის პროფესიონალი სამხედრო მფრინავია და მთელი ცხოვრება სამხედრო ქალაქებსა თუ ნაწილებში გაატარა. გენერალ-მაიორი ბრაუნი, როგორც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელის მოადგილე, კურირებდა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს ახლო აღმოსავლეთში ანუ დედამიწის ერთ-ერთ ცხელ წერტილში. უკანასკნელ ხანს ბრაუნს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების წყნარი ოკეანის განაკვეთის მეთაურის პოსტი ეკავა. ეს რეგიონი ამერიკელებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთი.

ბრაუნმა თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა მეთაურმა და დარბაისელმა ინტელიგენტმა. ცნებები სახელმწიფო, ეროვნული ინტერესები, გენერლისათვის წმიდათაწმიდაა. ამიტომაც აშშ-ის სენატმა ბრაუნის კანდიდატურას მხარი უყოყმანოდ დაუჭირა

– აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად ბრაუნის დანიშვნა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჩვენთან არავითარი რასიზმი არ არსებობს! ადამიანს არა მისი კანის ფერით, არამედ პროფესიული ნიშნით აწინაურებენ, – განაცხადა პრეზიდენტმა ტრამპმა.

გენერალი ბრაუნი თავის ახალ პოსტზე რთულ პერიოდში დაინიშნა. ამერიკა ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის გამო საპროტესტო აქციებმა მოიცვა. ისინი ძირითადად მშვიდობიან ხასიათს ატარებს, თუმცა აქა-იქ პროვოკატორებმა შეტაკებების, ყაჩაღობისა და მაროდიორობის პროვოცირება შეძლეს. ამერიკის ინტერესები მოითხოვს, რომ სიტუაცია რაც შეიძლება სწრაფად დამშვიდდეს. ბრაუნის დანიშვნაც ამას უდავოდ ხელს შეუწყობს.

# პომპეო: „რუსეთის აგრესიას ბოლო უნდა მოეღოს!“



აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს მოხსენება შედგა. მან ყურადღება გაამახვილა შემდეგ თემებზე: სინდისის თავისუფლება; პოლ უილანის გათავისუფლება; ყირიმის საკითხი. პომპეომ განაცხადა, რომ სინდისის თავისუფლება ტრამპის ადმინისტრაციის უმთავრესი პრიორიტეტია. ამის შემდეგ პომპეო რუსეთში დატყვევებულ ყოფილ ამერიკელ საზღვაო-ქვეით პოლ უილანზე გადავიდა. პუტინის რეჟიმი მას ჯაშუშობას სდებს ბრალად, თუმცა საამისოდ ვერავითარი, თუნდაც მეტ– ნაკლებად დამაჯერებელი საბუთი ვერ მოიტანეს.

– უილანი აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს! – თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებიც მიმოიხილა. მან თქვა, რომ რუსეთის აგრესიას ბოლო უნდა მოეღოს, ოკუპირებული ტერიტორიები კი უკრაინას დაუბრუნდეს.

– ყირიმი უკრაინაა! – თქვა პომპეომ.

# ევროკომისია რუსეთს დეზინფორმაციას სდებს ბრალად

თანახმად ევროკომისიის განცხადებისა, რუსეთი და ჩინეთი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით მიზანმიმართულ დეზინფორმაციულ კამპანიას ეწევიან, რომელიც ევროკავშირის წინააღმდეგაა მიმართული.

– ჩვენ ამას არ შევეგუებით! – ნათქვამია ევროკომისიის განცხადებაში.

ევროკავშირი განახორციელებს საპასუხო ღონისძიებებს, რათა რუსეთ-ჩინეთის დეზინფორმაციული კამპანია გაანეიტრალოს.

# ინციდენტი ალასკასთან



აშშ-ის საჰაერო-კოსმოსურმა თავდაცვის ძალებმა ალასკასთან რუსული ავიაგამანადგურებლების ორი ჯგუფი დააფიქსირეს. თითოეულ ჯგუფში ორ-ორი რუსული გამანადგურებელი შედიოდა. ამერიკული მხარის ოპერატიული მაღალპროფესიული მოქმედების შედეგად რუსებმა უკან დაიხიეს და იქაურობას გაეცალნენ.

# ევროკავშირმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა

ევროკავშირმა რუსეთს სანქციები კიდევ ერთი წლით გაუგრძელა. მიზეზი დონბასის ომი და ყირიმის ანექსიაა.

– მიუხედავად პანდემიისა და ამით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისისა, გადაწყვეტილება სანქციების გაგრძელების თაობაზე ერთხმად იქნა მიღებული, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

გადაწყვეტილება ევროსაბჭომ უნდა დაამტკიცოს, შემდეგ კი პრესაში გამოქვეყნდეს. კანონის ძალა ამის შემდეგ ექნება. ეს ფორმალური პროცედურაა. არავის ეჭვი არ ეპარება, რომ სანქციები გაგრძელდება. ამას დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ყირიმში რუსული პროვოკაციები გააქტიურდა. როგორც ცნობილია, ფსბ-მ სიმფეროპოლში რუსეთის 5 მოქალაქე დააკავა. მათ უკრაინელ რადიკალებთან კავშირსა და სიმფეროპოლში აფეთქებების მოწყობის მცდელობას აბრალებენ.

– როგორც ჩანს, რუსეთი უკრაინის სამხრეთში (ოდესა, ხერსონი) დესანტის გადასხმას აპირებს. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადება და ევროკავშირის სანქციები ამას ხელს შეუშლის, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

# ლუკაშენკო ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ქვეყანაში არიან ძალები, რომლებსაც სახელმწიფო გადატრიალება სურთ. ლუკაშენკოს აზრით, ეს ბელორუსში მოქმედი სხვადასხვა კერძო კომპანიის მფლობელები არიან.

– მათ ბელორუსული მაიდანის დაფინანსება სურთ! – აცხადებს ლუკაშენკო.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კერძო კომპანიები მშრომელებს თურმე არაადამიანურ ექსპლუატაციას უწევენ, მათხოვრულ ხელფასს უხდიან მათ, ვინც ურჩობას გაბედავს და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე სამსახურიდან ათავისუფლებენ. თავისი გამოსვლა ლუკაშენკომ ტიპურ საბჭოურ სტილში დაამთავრა:

– დადგა დრო, ბელორუსის ეროვნულ ბურჟუაზიას ხალხის ქონება ჩამოვართვათ და ხალხს დავუბრუნოთ!

ლუკაშენკომ კვლავ გაიმეორა, რომ ბელორუსში არავითარი მაიდანი არ იქნება. რესპუბლიკაში შენარჩუნებული იქნება სტაბილურობა ანუ ის სტატუსკვო, რომელიც დღეს არსებობს. ეს რუსეთთან ურთიერთობებსაც შეეხება.

– მიუხედავად რიგი უთანხმოებისა, რუსეთი ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად რჩება! – ამბობს ლუკაშენკო.

# უკრაინის გენერალური პროკურატურა პოროშენკოს დაპატიმრებას მოითხოვს

უკრაინის გენერალური პროკურატურა ექსპრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს დაპატიმრებას მოითხოვს. მას თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და კორუფციულ სქემებში მონაწილეობას აბრალებენ. თავად პოროშენკო ბრალდებას უარყოფს. ის ამტკიცებს, რომ მის წინააღმდეგ მუშაობს რუსეთი, რომელიც ყოფილ რეგიონალებს ეყრდნობა.

– უკრაინაში იმპერიული რევანშის კონტურები გამოიკვეთა! – თქვა პოროშენკომ.

# ამერიკელებმა გერმანია უკვე ოფიციალურად გააფრთხილეს

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ესპერმა გერმანიის მთავრობა უკვე ოფიციალურად გააფრთხილა, რომ მოსალოდნელია ამ ქვეყანაში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო კონტინგენტის ნაწილის გაყვანა.

– ეს ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ესპერმა განგვიცხადა! – ამბობს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.

ამავე დროს, კანცლერმა აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხის გარშემო ჯერ არ არის მიღებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გოგა ბარბაქაძე ლაშა ჩხარტიშვილის წინააღმდეგ





რუსთაველის თეატრის მსახიობი გოგა ბარბაქაძე თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილს დაუპირისპირდა. ამის მიზეზი ლაშა ჩხარტიშვილის მიერ რობერტ სტურუას გაკრიტიკება გახდა, რომელიც თეატრმცოდნემ რეჟისორის ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლის „თამაშის დასასრულის“ სატელევიზიო პრემიერის შემდეგ საჯაროდ გაავრცელა.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– აშკარად ვიგრძენი, რომ რობერტ სტურუა დაღლილია რუსთაველის თეატრით, თუმცა არ აღიარებს.

რუსთაველის თეატრის სტაგნაცია. კარგია, რომ ეს ფაქტი აღიარა, მსახიობებს გადააბრალა და სამწუხაროა, რომ ოდნავადაც არ გრძნობს პასუხისმგებლობას ამაზე – თეატრში ყველა მსახიობი ხომ უშუალოდ მისი მიღებულია.

მან ისიც თქვა, რომ ჩვენთან ახალგაზრდა რეჟისორები დგამენ სპექტაკლებს. ნეტა, ვინ? ბოლოს როდის? რა ინტენსივობით? როდესაც არსებობს სამი სცენა, + 2 უნიკალური სივრცე ექსპერიმენტებისთვის, რა გამომეპარა?

მაესტრო მართლა დაბერებულა, როცა პარიზის ოპერაში დიმიტრი ჩერნიაკოვის დადგმა, ჰექტორ ბერლიოზის „ტროელები“ ახსენა, შეაფასა და გააკრიტიკა ნაწარმოების თანამედროვეობასთან ადაპტირება, რასაც თავად მთელი შემოქმედების განმავლობაში წარმატებულად აკეთებდა. „ყვითელ ჟილეტებში გამოწყობილ პერსონაჟებზე“ გამოკიდება ჩემთვის მოულოდნელი იყო, რადგან სტურუას პროგრესულად მოაზროვნე შემოქმედად ვიცნობთ.

ჩემთვის უფრო საგანგაშოა ახალგაზრდების კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულება, რეალობის ვერ/არ დანახვა, შანსის გამოუყენებლობა, დასვან კითხვა, თუნდაც მწვავე თემაზე, მოკრძალებულად. მხოლოდ ერთმა შეძლო, დიპლომატიური მიდგომით, გულწრფელად აელაპარაკებინა მაესტრო რობერტ სტურუა რეალურ პრობლემებზე, დაესვა კითხვები, რომლებიც ვერ დასვა ბევრმა ამდენი ხნის განმავლობაში, რაც წლებია, სათეატრო საზოგადოებას აწუხებს. სასიამოვნო იყო, რომ ერთმა მაინც დასვა ის კითხვა, რაც აწუხებს და არის აქტუალური.

ჰოდა, სანამ ჩვენკენ, უფროსი თაობისკენ გამოიშვერს ხელს მავანი კონფორმიზმში სამხილებლად, ჯერ იმ საყურადღებო საუბარს მოუსმინეთ, პროექტის „შექსპირი და ქართველი რეჟისორები“ ფარგლებში რომ გაიმართა, სადაც კითხვებს დამწყები კრიტიკოსები სვამდნენ.

შეხვედრამ დამასევდიანა კიდეც. ვიგრძენი, რომ რობერტ სტურუას ბევრჯერ ატკინეს გული, თავადაც სევდიანი მომეჩვენა, რაც მას არ ჰგავს.

აქვე, დიდი მადლობა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ჩემს კოლეგასა და მეგობარ მაკა ვასაძეს ამ პროექტის განხორციელებისთვის, რადგან ბევრი რამ ახალიც გავიგეთ, ბევრ რამეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ბევრი რეჟისორი სხვა კუთხითაც გავიცანით.

გოგა ბარბაქაძე ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებას მეუღლის, მაია დობორჯგინიძის სოციალური ქსელით გამოეხმაურა:

– ვინაიდან არ მაქვს საკუთარი ფეისბუქი, ვწერ ჩემი მეუღლის ფეისბუქიდან. მე ვარ გოგა ბარბაქაძე, რუსთაველის თეატრის მსახიობი და გწერ შენ, ჩხარტიშვილო და გეკითხები შენ მე, რა გინდა? რით ვერ გაძეხი ამ რუსთაველის თეატრის ,,ქებით“?!?!?! რით ვერ გაიგე, რომ იქ, სადაც ხარ, სადღაც ქვევით, იქ სტურუას ვერ გაუგებ, რამდენიც არ უნდა ეცადო, ზემოთ ამოფოფხდე, თან ისიც სტურუას უმიზეზო და ულირსი ლანძღვის ხარჯზე. ჯანსაღი კრიტიკა მისაღებია ყველგან და ყოველთვის, მაგრამ უზრდელობას ველარ გაპატიებთ! ძალიან დიდი ხანი ვითმენდი, რომ თავი არ გამეყადრებინა თქვენთვის, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. სხვათა შორის, ეხება ყველას, ვინც სტურუას გენიოსობა ვერ მოინელა დღემდე! პირი გამოირეცხეთ, როდესაც რობერტ სტურუაზე საუბრობთ! ასე როგორ გაპატარავებთ სტურუას ნიჭი და გენიოსობა, როგორ?! აი, სწორედ თქვენნაირებს ეშლებათ ადამიანის პატივისცემა კერპთაყვანისმცემლობაში!

დასასრული... ფარდა... წერტილი... თქვენს ულირს კრიტიკას! ერთმა ბრძენმა ბრძნულად ბრძანა: ,,თქვენ მიწაზე ხართ და ამას არაფერი ეშველება“.

# რეჟისორი მაია შენგელია მიტოვებულ ბაღებში მოგროვილი ხილით იკვებება



რეჟისორი მაია შენგელია მეზობლების მიტოვებულ ბაღებში მოგროვილი ხილით იკვებება. მისი მდგომარეობა გაჭირვების გამო უმძიმესია:

– სალაშქროდ ვემზადები. ორი წლის წინ, როცა უკიდურეს მდგომარეობაში ვიყავი და შიმშილის ნიადაგზე საავადმყოფოშიც კი მოვხვდი, გაჭირვებამ მიკარნახა და ადამიანების მიერ სხვადასხვა მიზეზით მიტოვებულ ხეხილის ბაღებს ჩამოვუარე. ყოველდღე მომქონდა სახლში სხვადასხვა ხეხილის შეთვალული ნაყოფი. დიდი ხნის მანძილზე ეს იყო ჩემი ერთადერთი საკვები. ბედად, იმ წელიწადს ყველაფერს უხვად ესხა. შარშან ოდნავ, სულ ოდნავ გამომიკეთდა მდგომარეობა და თითქოს ბუნებამაც იგრძნოო, ერთი კაკალი არაფერს ება.

აღარ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ დამჭირდებოდა ლაშქრობები მიტოვებულ ბაღებში. ჩემ ირგვლივ ყველას გაუჭირდა. რომ არა უბრალო ადამიანები, დღემდე ვერც მოვაღწევდი. ჩემმა მეგობარმა მწერლებმა სიტყვა შემაწიეს იმ პირებთან, ვისაც რაიმე დახმარების აღმოჩენა ხელეწიფება. მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ჩინოვნიკურ პროცედურებს დრო სჭირდება, შიმშილი კი ულმობელი რამეა.

ჰოდა, დროა, სალაშქროდ გავემზადო. თვალიც კი არ შემივლია ხეებისთვის და წარმოდგენა არ მაქვს, რაიმეს მოვინადირებ თუ ვერა. კიდევ კარგი, რომ ხეებს მაინც არ ემართებათ კორონავირუსი.

# ხელოვანები ქველმოქმედებისთვის გაერთიანდებიან

**დასაწყისი მე-8 გვერდზე**

კოლაძე, ბესო ზანგური, ბექა რამიშვილი, ნინო გაბუნია, ნინო ალადაშვილი, ქეთე ვანი, მაკი მინდორაძე და კახა გვალია.

ეს იქნება საქველმოქმედო არტი, ხელოვნების იდეალური სინთეზი, სადაც გამოიფინება მონაწილე ავტორთა წიგნები, ნახატები, ფოტოები, ხელნაკეთი ნივთები და ყველაფერი ის, რაც ხელოვნებასთან კავშირშია. ვისაც რისი საშუალება ექნება, იმ ფასად შეიძენს გამოფენაზე წარმოდგენილ ნივთებს. მოგროვილი თანხა კი მთლიანად გადაერიცხება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფონდს.

– მათ ხომ ამ, სამყაროს ტრანსფორმაციის ურთულეს პერიოდში მოუხდათ ცხოვრება?! მოდი, ვაგრძნობინოთ, რომ ისინი არ არიან მარტო! ჩვენ არ ვართ ქირურგები! ჩვენ არ ვართ ექიმები! ჩვენ, ხელოვანი ხალხი, სულს ვმკურნალობთ ჩვენი შემოქმედებით! და ყველა თუ ჩვენს საქმეს სიყვარულით გავაკეთებთ, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება! გელოდებით შაბათს, 13 ივნისს, საღამოს ხუთზე, ოპერის ბაღში. მოვეფეროთ ერთმანეთს, ქალაქს და ბავშვებს! – ასეთია საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორთა გზავნილი საზოგადოებისადმი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# ფეხბურთი და მწერლები

ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ალბერ კამიუ ამბობდა:

– ყველაფერი, რაც ზნეობის, მორალისა და ადამიანური ვალდებულებების შესახებ ვიცი, ფეხბურთით ვისწავლე.

ფრანგი კლასიკოსის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ფეხბურთი მხოლოდ სპორტი არ არის. სხვა არაერთ ღირებულებასთან ერთად, ფეხბურთს პიროვნული მორალის ჩამოყალიბება და ადამიანების შთაგონებაც შეუძლია.

ბევრი მწერლისთვის ფეხბურთი ინსპირაციის წყაროც გამხდარა, ზოგიერთი მათგანი კი აღნიშნავს, რომ სპორტის ეს სახეობა ბევრად ღირებულია, ვიდრე თავიანთი შედევრები. მაგალითად, ინდოელი ავტორი სალმან რუშდი წერს:

– წიგნის გამოცემა ან ფილმის გადაღება ძალიან კარგია, მაგრამ ტოტენჰემის მიერ მანჩესტერ იუნაიტედის დამარცხება ფასდაუდებელია.

ფეხბურთს არაერთი ბელეტრისტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამჯერად კი იმ 20 მწერალზე ვისაუბრებთ, რომლებზეც ბურთმა და მწვანე მინდორმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და ამან მათ შემოქმედებაშიც ჰპოვა ადგილი.

**ალბერ კამიუ**

ფრანგი ავტორი და ფილოსოფოსი 46 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში, მოასწრო გამხდარიყო ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მოიპოვა. კამიუ ახალგაზრდობაში ალჟირის უნივერსიტეტის გუნდ რასინგში თამაშობდა და ჩრდილოეთ აფრიკის ჩემპიონთა თასიც მოიგო.

**სერ არტურ კონან დოილი**

„შერლოკ ჰოლმსის“ ავტორი ბრიტანეთის სამხრეთ სანაპიროსთან ცხოვრების პერიოდში, პორტსმუთის საფეხბურთო ასოციაციის კლუბში თამაშობდა. კლუბი 1896 წელს დაიშალა და დღევანდელ პორტსმუთთან არანაირი საერთო არ აქვს. კონან დოილს კრიკეტის ნიჭიც აღმოაჩნდა და მერილებონის კრიკეტის კლუბში პირველი კლასის 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**ჯოან როულინგი**

თანამედროვეობის ერთ-ერთი უმდიდრესი ავტორი შეცვლილი გარეგნობითა და ტანისამოსით ვესტ ჰემის მატჩს მალულად არაერთხელ დასწრებია.

„ჩაქუჩები“ როულინგის მთავარ საგაში რამდენჯერმე გამოჩნდნენ. „ჰარი პოტერის“ პირველსა და მეოთხე ნაწილში, შესაბამისად, „ფილოსოფიურ ქვასა“ და „ცეცხლოვან თასში“ დასავლეთლონდონური კლუბი რამდენიმეჯერ იქნა ნახსენები – ვესტ ჰემის გულშემატკივარი გრიფინდორელი დინ ტომასია.

**ენტონი ბერჯესი**

„მექანიკური ფორთოხლის“ შემოქმედი ფეხბურთის დიდი ქომაგი გახლდათ. მან ერთხელ შენიშნა:

– 5 დღე შრომაში უნდა გავატაროთ, მეშვიდე დღე ღმერთს დაუთმოთ, როგორც ამას ბიბლია გვეუბნება, მეექვსე კი ფეხბურთისთვისაა შექმნილი. ბერჯისი ფეხბურთის შესახებ 70-იან წლებში წერდა. მას აქვს ნაშრომი ჰილსბოროს ტრაგედიის შესახებაც.

**სერ უოლტერ სკოტი**

სკოტი ფეხბურთით ჯერ კიდევ მაშინ იყო დაინტერესებული, როცა ეს უკანასკნელი სრულად დაიხვეწებოდა და სპორტის პროფესიონალური სახეობა გახდებოდა. სერ უოლტერმა ერთხელ ედინბურგის ჟურნალში დაწერა:

– ბედის უკუღმართობისგან, თუ მაინც უნდა დაეცეთ, გახსოვდეთ, რომ ცხოვრებაში იმაზე უარესი რამეებიც არსებობს, რაც დაცემაზე უარესია. ცხოვრება, თავის მხრივ, ფეხბურთივით არის.

**ნიკ ჰორნბი**

ნიკი არსენალის გულშემატკივარია და მეთოფეთა ყოფილ თავდამსხმელ ალან სმიტთან მეგობრობს. გარდა ამისა, ნიკ ჰორნბი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტული წიგნის, „ბეისბოლის ციებ-ცხელების“ ავტორია.

**მარტინ ემისი**

2012 წელს ბრიტანელმა ავტორმა ნიუ იორკში „ტელეგრაფის“ ჟურნალისტს განუცხადა:

– მე ჯერ კიდევ შემიძლია, პროდუქტიული ვიყო ნახევარდაცვაში, რადგან საჭირო მოთხოვნები კარგად მესმის. ყველაზე მეტად ინგლისიდან ფეხბურთი მენატრება. მეგობრები მირჩევენ „ფოქს ტივის“ პაკეტის შეძენას, სადაც პრემიერლიგის ყველა შეხვედრის ყურებას შევძლებ. ყოველ დილით სოციალურ ქსელში, პირველ ყოვლისა, საფეხბურთო სიახლეებს, მიმოხილვებსა და რეპორტაჟებს ვეცნობი. ეს ერთადერთი სპორტია, რომლის ბედის გადაწყვეტა ერთ გოლსაც კი შეუძლია. ფეხბურთში პულსი უფრო აჩქარებულია, ვიდრე სხვა ყველა სპორტში.

**როდი დოილი**

– 1967 წლის ასოციაციის თასის ფინალის სანახავად მამამ წამიყვანა. ეს ჩემი პირველი საფეხბურთო მატჩი იყო, რომელსაც დავესწარი. იმ დერბიში ტოტენჰემმა იმარჯვა, მაგრამ მეგობართან ერთად მტკიცედ გადავწყვიტე, რომ „ლურჯი“ მხარე უნდა ამერჩია. 8-9 წლის ასაკში უდიდესი საფეხბურთო ბედნიერება მეწვია – 1970 წელს ლიდსს ასოციაციის თასი მოვუგეთ.

ალბათ, მიხვდით, რომ ირლანდიელი ავტორი „ლურჯებში“ ჩელსის გულისხმობს.

**ჯულიან ბარნსი**

ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდოს, ბუკერის პრემიის 2011 წლის ლაურეატი მრავალი ათეული წელია, ლესტერს ქომაგობს. 19 წლის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ „მელიების“ გულშემატკივრობა მისთვის განსაკუთრებით სენტიმენტალური იყო, რადგან მაშინ, როცა მშობლიური ლესტერშირიდან შორსაა, საფეხბურთო კლუბი ნოსტალგიას უვსებს. მისივე თქმით, ამ კლუბთან დაკავშირებული საუკეთესო მოგონება 1996 წლის პირ-



ველი დივიზიონის ფლეი ოფის ფინალი გახლდათ, როცა ლესტერმა კრისტალ პალასს აჯობა და ელიტაში დაბრუნდა.

მოგონება ვთქვით, რადგან ჯულიანისთვის 2016 წელს ლესტერის პრემიერლიგის ჩემპიონობა ჯერ ისევ ცოცხლობს და მოგონებებში არ თვლის.

**იან მაკიუენი**

პოპულარული ინგლისელი ნოველისტი მანჩესტერ იუნაიტედის ერთგული ქომაგია. 2011 წელს ალექს ფერგიუსონის ბიჭების ბარსელონასთან მარცხს სპეციალურად მოწყობილ კარავში ადევნებდა თვალს და ტერიტორია თავზარდაცემულმა დატოვა.

**ჯონ პრისტლი**

ინგლისელი ნოველისტი, დრამატურგი და ჟურნალისტი „ნოტინგემ ფორესტის“ ქომაგი გახლდათ და ერთხელ თქვა:

– თუ ვიტყვით, რომ ეს ადამიანები ფულს 22 კაცის სირბილის ყურებაში იხდიან, მაშინ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ვიოლინო, უბრალოდ – ტყვიისა და ხის ნაზავი, ხოლო „ჰამლეტი“ ცარიელი მელანი და თაბახია.

**ჯორჯ ორუელი**

„1984“-ისა და „ცხოველთა ფერმის“ ავტორი საყვარელი სპორტის სახეობის შესახებ დასამახსოვრებელი გამონათქვამებითაა ცნობილი. მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ინგლისელმა მწერალმა თქვა:

– თუ გსურთ, მსოფლიოში სამხედრო კონფლიქტი კვლავ გაღვივდეს, ჩაატარეთ საფეხბურთო მატჩების სერია ებრაელებს, არაბებს, ინდოელებს, იუგოსლავიელებს, გერმანელებს, ჩეხებს, პოლონელებს, რუსებს, იტალიელებსა და ბრიტანელებს შორის და დაასწარით მას 10.000 გულშემატკივარი. ფეხბურთს არაფერი აქვს საერთო სამართლიან თამაშთან. ეს არის სიძულვილის, სიამაყის, ეჭვის, ძალადობის გამოვლინება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ეს არის ომი.

**ჟან-პოლ სარტრი**

ფრანგი მწერალი და ეგზისტენციალური ფილოსოფოსი სტუდენტობისას სამოყვარულო დონეზე ფეხბურთს თამაშობდა. ნობელის პრემიის ლაურეატი თავის ნაშრომში „დიალექტიკური გონების კრიტიკა“ წერს – ფეხბურთის მატჩში ყველაფერი რთულდება, მით უფრო, თუ მოედანზე მეტოქე გუნდიც იმყოფება.

**სტივენ ფრაი**

კომედიების ავტორი და ყველაზე გაყიდვადი ნოველისტი თანამედროვე ინგლისში 2010 წელს ნორვიჩ სიტის დირექტორი გახდა. მან ერთხელ იხუმრა:

– ბოლო წლებში, ნორვიჩის წარმატებულ მწვრთნელებზე დაკვირვების შედეგად, იმ სამწუხარო დასკვნამდე მივედი, რომ შეუძლებელია, რომელიმე მათგანმა ძირითად შემადგენლობაში დამაყენოს. არადა, ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი და საამაყო მომენტი იქნებოდა.

**სალმან რუშდი**

ინდოელმა ავტორმა 1999 წელს გაზეთ „ნიუ-იორკერში“ 8-გვერდიანი სტატია გამოაქვეყნა ფეხბურთის შესახებ. როგორც ჩანს, რედაქციაში არავინ აუხსნა, რომ საყვარელი კლუბის, ტოტენჰემის ლეგენდარული მწვრთნელი ბილ ნიკოლსონი შოტლანდიელი არ ყოფილა, ხოლო მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი მიუნხენის კატასტროფას გადაურჩა.

**მაიკლ როსენი**

ნისლიან ალბიონზე დაბადებულ პოეტს თბილი გრძნობები არსენალის მიმართ აქვს. იგი არც იუმორის დეფიციტს განიცდის. რამდენიმე წლის წინ მან ტვიტერში დაწერა: „არსენალი უფრო ჭუჭყია, ვიდრე ქერტლი. იმედი მაქვს, მომდევნო სეზონში უფრო მომხიბლავთ“.

**მელვინ ბრეგი**

ბრიტანელი ნოველისტი და ტელე-პროდიუსერი ამბობს, რომ არსენალის ქომაგობა ადრეულ, 80-იან წლებში დაიწყო. ეს ის დროა, როცა „მეთოფეთა“ დაცვის შთამბეჭდავი წყვილი ტონი ადამსი და სტივ ბულდი პოპულარულ ინგლისურ კომედიაში (მამაკაცების სტრიპტიზი) ქორეოგრაფიულ ეპიზოდში მოხვდნენ.

– მე და ჩემმა ვაჟმა არსენალის გულშემატკივრობა მას მერე დავიწყეთ, რაც ლონდონელთა დაცვა ლიგას ატერორებდა. ეს არა სპორტის, არამედ ხელოვნების ნიმუში იყო. თუ გინდათ, „ჰაიბერიზე“ მოხვდეთ, დაცვით ფეხბურთს გემო უნდა გაუგოთ.

**ჯო შეპკოტი**

ჯო პოეზიაში ბრიტანეთის დედოფლის მიერ დაწესებული ჯილდოს გამარჯვებულია და, ელიზაბეტ მეორის მსგავსად, არსენალს გულშემატკივრობს. 67 წლის პოეტი ამბობს, რომ მის ცხოვრებაში ფეხბურთს განსაკუთრებული როლი უკავია. მან რამდენიმე წლის წინ თქვა:

– თუ არსენალს სამსახურში პოეტი დასჭირდება, შემიძლია, ვემსახურო, თუმცა ამის საჭიროება არ არის. მათ ხომ არსენ ვენგერი ჰყავთ, რომანტიკული ფეხბურთის დიდოსტატი.

**დევიდ ნობსი**

იუმორისტული ტრილოგიის „რეჯინალდ პერინის“ ავტორი იმდენად იყო შეყვარებული ტოტენჰემზე, რომ საკუთარ ნაწარმოებში 1961 წელს დუბლის მომგები შემადგენლობიდან 11 ფეხბურთელის სახელითა და გვარით პერსონაჟები შექმნა.

**ოსკარ უაილდი**

„დორიან გრეის პორტრეტის“ შემოქმედს საფეხბურთო სტადიონებზე ხშირად ვერ ამჩნევდნენ, თუმცა სპორტზე მისი მახვილგონივრული გამონათქვამები არაერთხელ წაუკითხავთ. მისი თქმით, ფეხბურთი კარგი სპორტია უხეში გოგონებისთვის, მაგრამ არა დელიკატური ბიჭებისთვის. ოსკარ უაილდს ეკუთვნის ცნობილი ფრაზაც:

– რაგბი ბარბაროსებისთვისაა შექმნილი და ჯენტლმენები თამაშობენ, ფეხბურთი კი ჯენტლმენური თამაშია ბარბაროსების შესრულებით.

## შედეგები

### 10 ივნისი

**ფეხბურთი**

**გერმანია. თასი**

ბაიერნი-აინტრახტი ........................ 2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რაიო-ალბასეტე ........................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-სანტალარა ........................ 2:2
პორტიმორენშე-ბენფიკა ........................ 2:2
პორტუ-მარიტიმუ ........................ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ჰარტბერგი ........................ 2:4
ლინცერი-რაპიდი ........................ 0:1
შტურმი-ზალცბურგი ........................ 1:5

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-სლავია ........................ 2:2
პლზენი-ზლინი ........................ 3:0
ჩესკე-ტეპლიცე ........................ 3:1
ბოლესლავი-სიგმა ........................ 0:2
პრჟიბრჟამი-ლიბერეცი ........................ 2:1
სლოვაცკო-ბოჰემიანსი1905 ........................ 1:2
სპარტა-ოპავა ........................ 2:0
იაბლონეცი-კარვინა ........................ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-ჩენსტოხოვა ........................ 3:2
პლოცკი-სლასკი ........................ 1:2
ლეგია-არკა ........................ 5:1
ლოძი-იაგელონია ........................ 0:3

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 2. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი იაპონიის ნავსადგური; 5. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 6. გრძელ დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 9. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სასადილოების, დუქნების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. მთათა და ქედების სახელწოდება შორეულ აღმოსავლეთსა და კამჩატკაზე; 16. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 18. პატარა თევზსაჭერი გემი; 20. ინდოეთის ოკეანისპირა პოპულარული კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 23. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 24. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 25. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 26. მაღალყელიანი რეზინის კალოში.

**თარაზულად**: 7. ადამიანის ყოფიერების, ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 9. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯებით; 13. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 15. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 17. უჩვეულო, მოულოდნელი აზრი, მსჯელობა, ქმედება; 19. ლუდის სასმელი კათხა; 21. ტროპიკული, მარადმწვანე ხვიარა მცენარე; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ვერდის ოპერა; 28. მაღალი კლასის კომფორტული კვების ობიექტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფარმაკოპეა; 2. ხანუკა; 3. ჰიგინსი; 4. სენტო; 5. შატბერდი; 6. ხარკი; 7. გირკანი; 9. კოვბოი; 13. სუფსა; 17. ქუჯი; 18. „აია“.

**თარაზულად:**1. ფსირცხა; 3. „ჰამასი“; 8. ჩანახი; 10. „პუბლიკა“; 11. ქარვა; 12. ბონდერი; 14. კორომი; 15. ფაიფური; 16. დაქსი; 19. ნასერი; 20. „იავნანა“; 21. პოლისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მენჯი; 2. ტრალი; 3. ბაობაბი; 4. იგლუ; 5. იედო; 6. კასაცია; 9. „ჰემოთერაპია; 10. ბაღდავაძე; 11. „ავასირხვა“; 14. ზებრა; 16. გრიფი; 18. ბროკერი; 20. „შავლეგო“; 23. ვერა; 24. დუბაი; 25. პაპყი; 26. კურუ.

**თარაზულად:**7. „განდაგანა“; 8. ბატერფლაი; 12. კაკაო; 13. კვიცი; 15. ფხოვი; 17. ბანდეროლი; 19. ურალი; 21. თოიძე; 22. სვავი; 27. გრავირება; 28. „სპორტინგი“.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0393

ევრო — 3.4551

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8766

100 რუსული რუბლი — 4.4205

## ამინდის პროგნოზი 12 ივნისისათვის




## „ვოისი“ იწყება



მუსიკალური შოუ „ვოისი“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე იწყება.პროექტის სარეკლამო ვიდეორგოლები ტელევიზიით უკვე გამოჩნდა და მისი ხელმძღვანელები მოუწოდებენ მსურველებს, მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოში ცნობილ შოუში. თუ ვინ იქნებიან მწვრთნელები და კონკრეტულად როდიდან დაიწყება „ვოისის“ ახალი სეზონი, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

## გია როინიშვილი კულტურის დაფინანსების შემცირებას დანაშაულს უწოდებს



მსახიობი გია როინიშვილი კულტურის დაფინანსების 20,7 მილიონი ლარით შემცირებას დანაშაულს უწოდებს:

– ეს არის დანაშაული, არა, კიდევ უფრო უარესი – საბედისწერო შეცდომა! მხოლოდ მთავრობის არა, იმ ხალხის, ვინც ამ „მაფიოზებს“ ხმა მისცა! ხდება ასე. ნუ წავალთ წარსულში! მომავლისკენ გავიხედოთ და მოვიცილოთ ის ბოროტება, რასაც „ქართული ოცნება“ ჰქვია! ეს ხელისუფლება შავი ჭირია და უნდა მოიცილოს ქართველმა ხალხმა! განათლების და კულტურის ისედაც მწირი ბიუჯეტი კიდევ უფრო მიასეკვესტრეს ამ ბანდიტებმა!

მალე ყველაფერი შეიცვლება! არის ამის ყველანაირი საშუალება, დამერწმუნეთ! ერთად ყველაფერი გამოგვივა! ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიფიქროთ არა ამ მიმართულებების გადარჩენაზე, არამედ გაძლიერებაზე და პროგრესზე!

პ.ს. ბიუჯეტის შემცირება შეეხო არა მარტო კულტურას, არამედ სპორტსაც და განათლებასაც: სპორტის დაფინანსება მცირდება 53,3 მილიონი ლარით; სკოლამდელი და ზოგადი განათლება – 20,4 მილიონი ლარით; პროფესიული განათლება – 6,3 მილიონი ლარით; უმაღლესი განათლება – 3,0 მილიონი ლარით; მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა – 3,9 მილიონი ლარით; ინფრასტრუქტურის განვითარება – 17,6 მილიონი ლარით; სხვა დანარჩენი პროგრამები და ხარჯები კი – 2,5 მილიონი ლარით.

## ხელოვანები ქველმოქმედებისთვის გაერთიანდებიან




13 ივნისს ოპერის ბაღში გაიმართება საქველმოქმედო საღამო მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, სადაც იქნება მხოლოდ სიყვარული, მართალი პოეზია, მართალი სიტყვა, მართალი სიმღერა. საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: საშა გველესიანი, გაგა გომართელი, დათო გაბისკირია, გია ნი-


გაგრძელება მე-6 გვერდზე


## ასტროპროგნოზი

12 ივნისისათვის



**ვერძი** – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კურო** – ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **ტყუპები** – სამსახურში კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **კირჩხიბი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან შეხვედრებს. ემოციური ფონი ძალზე მაღალია, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში ხელს შეგიშლით. **ლომი** – პროფესიულ საქმიანობაში შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ. **ქალწული** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **სასწორი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. მიენდეთ ინტუიციას. ემოციები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ოჯახში არასტაბილური სიტუაციაა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ერიდეთ საქმის გარჩევებს ახლობლებთან. **მშვილდოსანი** – უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აგრესიისა და მკვეთრი გამოთქმებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. წარმატება მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **თევზები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, კატები სიბნელეში რატომ ხედავენ?

– იმიტომ, რომ ჩამრთველს ვერ სწვდებიან!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– იქნებ უკვე მოგვეხსნა ნიღაბი და ხელთათმანები?

– არა, მართალია, სექსი გვქონდა, მაგრამ ჩვენ ათი დღეა ვხვდებით ერთმანეთს, კარანტინი კი 14 დღე გრძელდება.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– რა არაჯანსაღი გამომეტყველება გაქვს!

– ჯანსაღი ცხოვრების წესს ვიცავ.

●●●

ქმარი შიშველი დგას სარკის წინ და ამბობს:

– ორი სანტიმეტრი პლუსი და მეფე ვიქნებოდი!

ცოლმა შეხედა და ეუბნება:

– მინუს ორი სანტიმეტრი და დედოფალი გახდებოდი...

●●●

სახლში დაბრუნებული ქმარი ხედავს, რომ მაგიდაზე ტორტი დგას 20 სანთლით. გაკვირვებული ქმარი ცოლს ეკითხება:

– ვის აქვს დღეს დაბადების დღე?

– ჩემს პალტოს, დღეს 20 წელი შეუსრულდა!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გილოცავ, ეგრევე გეტყობა, რომ ცოლი მოიყვანე, შესანიშნავად გაუთოებული პერანგი გაცვია.

– ჰო! ეს იყო პირველი, რისი გაკეთებაც ცოლმა მასწავლა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საფეხბურთო მატჩი ექვსი თვე გაგრძელდა



ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის გუნდების რაიო ვალეკანოსა და ალბასეტეს მატჩი დაწყებიდან თითქმის 6 თვის შემდეგ დასრულდა. თამაში 15 დეკემბერს დაიწყო, მაგრამ, პირველი ტაიმის დასრულებისთანავე, გულშემატკივრების მიერ გამოყენებული შეურაცხმყოფელი შეძახილების გამო შეწყდა.

მასპინძელთა ქომაგები ალბასეტეს ფორვარდის, უკრაინელი რომან ზოზულიას მისამართით სკანდირებდნენ, რომ ის ნაცისტი იყო და, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ორივე გუნდის ფეხბურთელებმა მთავარ მსაჯს შეხვედრის შეწყვეტა სთხოვეს.

არბიტრმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა. სეგუნდა დივიზიონის ხელმძღვანელები კი მატჩის დასრულებას თებერვალში გეგმავდნენ, თუმცა კორონავირუსის გამო ვითარება შეიცვალა.

საბოლოოდ, შეხვედრის დაწყებიდან ზუსტად 179 დღის შემდეგ დარჩენილი 45 წუთის გამართვა მოხერხდა. რაიომ მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა და ადვინკულას გოლით 1:0 მოიგო.

აქვე გეტყვით, რომ 2017 წელს ზოზულია რაიოში იჯარის წესით უნდა გადასულიყო, მაგრამ შეთანხმება მას შემდეგ ჩაიშალა, რაც მადრიდელთა გულშემატკივრები გუნდის ვარჯიშს დაესწრნენ და ბანერი გამოფინეს წარწერით – მადრიდში ნაცისტების ადგილი არ არის. მაშინ ზოზულიას ნაცისტურ ჯგუფებთან კავშირში ადანაშაულებდნენ, თუმცა ფეხბურთელი ყველაფერს უარყოფდა.

## ქართული გუნდები ევროსეზონს 25 აგვისტოს დაიწყებენ



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით მუჯირი იმ კლუბებს შეხვდა, რომლებიც 2020-21 წლების სეზონზე ჩვენს ქვეყანას ევროტურნირებზე წარმოადგენენ.

შეხვედრის ფარგლებში სფფ-ის გენერალურმა მდივანმა კლუბებს ინფორმაცია ევროტურნირების გამართვის სავარაუდო სცენარის შესახებ მიაწოდა. დღევანდელი მოცემულობით, 2020-21 წლების სეზონის ევროტურნირების დაწყების სავარაუდო თარიღად 25 აგვისტო სახელდება. ამის შესახებ უფრო კონკრეტულად უეფას აღმასრულებელი კომიტეტი 17 ივნისს იმსჯელებს.

ამას გარდა, კლუბებმა კიდევ ერთხელ მიიღეს ინფორმაცია ეროვნული ლიგის განახლების პროტოკოლის შესახებ. სფფ-ის გენერალურმა მდივანმა თითოეულ მათგანს განახლებულ ჩემპიონატში წარმატება უსურვა.

შეგახსენებთ, რომ კრისტალბეთ ეროვნული ლიგის 2020 წლის სეზონი 25 ივნისს განახლდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით, ჩემპიონატში მონაწილე ათივე კლუბის წარმომადგენლებს, მატჩების მომსახურე ოფიციალურ პირებსა და მსაჯებს პირველი ტესტირება კოვიდ 19-ზე უკვე ჩაუტარდათ და ყველა ტესტმა უარყოფითი შედეგი აჩვენა. ეროვნული ლიგის განახლებამდე კი ყველა მათგანი განმეორებით ტესტს ჩაიტარებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ქალმა მეუღლის ფარული ცოლები და 13 შვილი აღმოაჩინა



ბრიტანეთის ქალაქ ედინბურგის მკვიდრმა ქალმა წონაში 32 კილოგრამი მას შემდეგ მოიმატა, რაც აღმოაჩინა, რომ მისი ქმარი თაღლითი და მრავალცოლიანი იყო, თუმცა შემდეგ წონაში დაკლება მაინც მოახერხა. მერი ტერნეტ ტომსონმა ამერიკელი უილიამი ინტერნეტით გაიცნო. სულ რაღაც სამი კვირის შემდეგ კი მამაკაცმა ხელი სთხოვა. ისინი დაქორწინდნენ და ერთად ექვსი წელი იცხოვრეს. მან მერი დაარწმუნა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი იყო და დროდადრო მრავალთვიან მივლინებებში მიდიოდა. ერთხელ ქალს ქონების გაყიდვა დასჭირდა, რათა 250 ათასი დოლარი შეეგროვებინა, რომელსაც, მეუღლის მტკიცებით, მას შანტაჟისტები სთხოვდნენ, რომლებიც ბავშვების მოტაცებით ემუქრებოდნენ.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მერი ტომპსონი არ იპოვა ქალმა, რომელიც უილიამის საქციელის გამო დაზარალდა. ისტორია სადაზვერვო სამსახურსა და შანტაჟისტებზე გამოგონილი აღმოჩნდა. სინამდვილეში უილიამი კიდევ ორ ქალს მალავდა, რომლებსაც ის თავისი „მივლინებების“ დროს ხვდებოდა, ასევე – ექვსი ქალისგან შეძენილ 13 ბავშვსა და სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის ნასამართლობას. მოგვიანებით ის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა ორცოლიანობის, თაღლითობისა და ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

ეს ყოველივე მძიმე დარტყმა აღმოჩნდა მერი ტომსონისთვის, რომელმაც ფსიქოპატთან გატარებული ექვსი წლის შედეგად დაკარგა ყველაფერი, დარჩა ორი ბავშვით და უსახლკაროდ. დარდისგან ქალმა 120 კილოგრამამდე მოიმატა წონაში. ზედმეტი წონის მოშორება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, თუმცა მან ეს ბრიტანეთის ეროვნული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პროგრამის წყალობით მოახერხა. ის უფრო მეტს დადიოდა, შეამცირა ნახშირწყლების მიღება და ერთ კვირაში 4,5 კილოგრამი დაიკლო. 12 კვირის შემდეგ კი ქალს ახალი კვების ჩვევები გამოუმუშავდა და კიდევ 12,7 კილოგრამი დაიკლო წონაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 3. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 4. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ხმელთაშუა ზღვისპირა პოპულარული საკურორტო ზონის სახელწოდება საფრანგეთსა და იტალიაში; 9. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. პოპულარული ბარ-რესტორანი ძველ თბილისში; 17. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 18. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე.

**თარაზულად**: 1. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 3. მთვარიანი ღამე; 8. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 14. მოხეტიალე ცირკი; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მდინარე ლონდონში; 19. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შედეგად წარმოშობილი შთამომავალი; 20. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*